# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 10 ივნისი 1997 №66 (431) ფასი 40 თეთრი

# საქართველო 2:0 მოლდოვა

## რევანში და პირველი მოგება მსოფლიოს ჩემპიონატზე

| II ჯგუფი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11:1 | 16 |
| ინგლისი | 6 | 5 | 0 | 1 | 11:2 | 15 |
| პოლონეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| საქართველო | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 0 | 5 | 2:13 | 0 |



ქართველები პირველ გოლს ხარობენ: შოთა არველაძეს პირველებმა ქეცბაიამ და კობიაშვილმა მიულოცეს

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების რეპორტაჟი ბათუმიდან იხილეთ 2-3 გვერდებზე

# პეხნიჩეკმა გაგვასწრო

დავით ქაქაბაძე
პრაღიდან

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელს ანტონინ პეხნიჩეკს კვირა დილით რომ დავურეკე, შეიცხადა, განა კვირა დილით პოლონელის ოჯახში დარეკვა იქნება, ახლა მთელი ოჯახით ეკლესიაში მივდივარ და ხვალ 4 საათისთვის დამირეკეთო. დათქმულ დროს რომ შევეხმიანე, პირველად უშანსოდ დარჩენილი პოლონეთისა და საქართველოს მოახლოებული მატჩის თაობაზე ვკითხე. პეხნიჩეკის პასუხმა გამაკვირვა, რადგან ერთ დღეში ყველაფერი შეცვლილიყო.

— ჩემთვის ამ მატჩს ის მნიშვნელობა აღარ ენიჭება, რაც გუშინ და გუშინწინ ჰქონდა, რადგან კვირის, ანუ 8 ივნისის შემდეგ ნაკრების მწვრთნელი აღარ ვარ. ცხადია, როგორც ნაკრების ყოფილი მწვრთნელი და პოლონელი, ეროვნული გუნდის მთავარი გულშემატკივარი და მხარდამჭერი ვიქნები.

— **როგორ მოხდა თქვენი გადადგომა?**

— ინგლისთან წაგების შემდეგ შევხვდი ფედერაციის პრეზიდიუმს, რომელშიც 60-მდე კაცი იქნებოდა, მათგან მტრობა ან ანტიპათია არ მიგრძვნია, პირიქით, მამხნევებდნენ კიდეც. მაგრამ შინაგანმა ხმამ მიკარნახა და გადავწყვიტე, წავსულიყავი, მემკვიდრისთვის ადგილი დროზე დამეთმო, რადგან ასეთ დაძაბულ ატმოსფეროში, გუნდის გარშემო რომ შეიქმნა, კიდევ ორი წელი ვერ ვიმუშავებდი.

— **თქვენი მემკვიდრე ვინ იქნება?**

— არ ვიცი. საქართველოსთან კი ჩემი ყოფილი თანაშემწე და მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი კშიშტოფ პავლაკი გაიყვანს გუნდს. ისე, ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ახალგაზრდულის მწვრთნელი ედვარდ ლორენცია.

— **საქართველოსთან მატჩის წინ თქვენ ამზადებდით გუნდს. მეტოქეს როგორ შეაფასებთ?**

— საქართველო ძალიან საინტერესო, ანგარიშგასაწევი და სახიფათო გუნდია, თანაც, როგორც ჩანს, ბოლო ხანს იბრუნებს იმ ავტორიტეტს, რომელიც უწინ ქართულ ფეხბურთს ჰქონდა. ეს ნათლად გამოჩნდა „უემბლიზეც“, სადაც 0:2-ის მიუხედავად თანაბარი თამაში იყო. იქ საქართველომ კარგად ითამაშა და გოლის გატანის შანსიც საკმაო ჰქონდა, შაბათს კი მოლდოვასაც დამაჯერებლად მოუგო. ამდენად, ჩვენი მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არაა. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ მხოლოდ ის ფეხბურთელები გვეყოლებიან, რომლებიც პოლონეთის ლიგაში თამაშობენ. ლიგაში კი დაძაბული სიტუაციაა: ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „ვიძევი“ „ლეგიას“ ქულით უსწრებს. ნაკრების ბირთვს კი სწორედ ამ გუნდების ფეხბურთელები შეადგენენ. ისინი ნაკრების თამაშისასაც გონებით ვარშავაში იქნებიან, სადაც გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს.

ბუნებრივია, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე კშიშტოფ პავლაკსაც დავუკავშირდი, მაგრამ მასთან უფრო ვრცელი ინტერვიუ გამოგვივიდა, რომელსაც შაბათის „სარბიელში“ იხილავთ.



გადამდგარი პეხნიჩეკის ნაცვლად ჩვენებთან გუნდს პავლაკი (მარცხნივ) გამოიყვანს

# ერთად დილომშიც და პოლონეთშიც...

საქართველოს ეროვნული გუნდი საპოლონეთო შეკრებას ოფიციალურად დღეიდან იწყებს, თუმცა ყიფიანმა გუშინაც საკმაოდ დატვირთა ბიჭები და ორკარა ათამაშა. ნაკრები პოლონეთს 12 ივნისს გაემგზავრება, მანამდე კი ახალგაზრდულთან ითამაშებს ამხანაგურად. გუშინდელ თამაშში კოჭი მცირედ დაიშავა ქეცბაიამ და მინდორი ნაადრევად დატოვა, თუმცა, როგორც გაირკვა, სერიოზული არაფერია. ეროვნულთან ერთად ივარჯიშა და ითამაშა დემეტრაძემ. ამ ბურთაობას თვალს ადევნებდა „არსენალის“ მთავარი სელექციონერი სტივ როული, რომელმაც ინტერვიუზე და ჩამოსვლის მიზანზე უარი განგვიცხადა. იქვე, დილომში, ივარჯიშებს ურეკიდან დაბრუნებული ახალგაზრდული ნაკრებიც.

# ნინომ სოჭში გაიმარჯვა

სოჭში გამართულ „ჩელენჯერ-ტურნირის“ (საპრიზო ფონდი 25 000 დოლარი) ფინალში ნინო ლუარსაბიშვილმა სამხრეთაფრიკელ ჯესიკა სტეკს 7:5, 6:0 მოუგო და პირველი ადგილიც დაიკავა. ნინომ ქალთა წყვილებშიც იმარჯვა, თუმცა უფრო მოკრძალებულად — იაპონელ შიბატასთან ერთად მეორე ადგილი დაიკავა.

ტურნირში 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შორის ავსტრალიელები, რუმინელები, ბულგარელები, სამხრეთაფრიკელები, უკრაინელები...

სოჭიდან ნინო ტაშკენტს, უფრო წარმომადგენლობით ტურნირზე (საპრიზო ფონდი 50 000 დოლარი) გაემგზავრა, სადაც 28 ქვეყნის ჩოგბურთელები შეკრებილიყვნენ. სამწუხაროდ, ამ ტურნირს ნინო შეუძლოდ მყოფი შეხვდა და მეოთხედფინალში დამარცხდა მექსიკელ გაველდონთან, რომელიც ადრე რამდენჯერმე დაუმარცხებია.

ხვალ ნინო მარსელს მიემგზავრება კიდევ ერთ „ჩელენჯერ-ტურნირში“ სასპარეზოდ.

# ჟურნალისტთა საყურადღებოდ

**დღეს, 17 საათზე, საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გაიმართება სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია სამბოს საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით.**

# ქინქი პირველ ჯგუფშია, მამამისი — უმაღლესში

პირველ ჯგუფში გადასასვლელი მატჩი

**ლოკომოტივი 2:1 მეშახტე**

**გორი. ცენტრალური სტადიონი**
**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ბუხრიკიძე, ქვარცხავა, ბარნოვი, ბაქრაძე, ძაბირაძე, კვეტენაძე, ფირცხალავა, ჟორჟიკაშვილი, მორგოშია (ვასაძე 33, ჩხეტია 82), დაუშვილი
**მეშახტე:** ვარდანიძე, კალანდაძე, პატარიძე, სოფრომაძე, მ. ბოჭორიშვილი, შ. ბოჭორიშვილი, დევიძე, ჩიტალაძე (კირკიტაძე 46), ბიბილეიშვილი (ლომთაძე 46), კანკია, შარაბიძე (კალატოზი 46)
**1:0** ჟორჟიკაშვილი (40), **2:0** კვეტენაძე (73), **2:1** სოფრომაძე (75)
**გაფრთხილება:** კალატოზი, ჟორჟიკაშვილი
**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

მამუკა კვანტალიანი გორიდან

თამაში ფრთხილად და დუნედ, მაგრამ დაძაბულად დაიწყო. მეტოქეებმა იცოდნენ, რომ ერთ შეცდომას მთელი წლის ნაჯაფარის წყალში ჩაყრა შეეძლო. მატჩის ბედი თბილისელი „ბებრების“ ფირცხალავასა და მოთამაშე-მწვრთნელის ჟორჟიკაშვილის ჩინებულმა, აზრიანმა თამაშმა გადაწყვიტა. სწორედ ფირცხალავამ გაიყვანა მწვრთნელი მეკარესთან პირისპირ და კობამაც გაიტანა. პირველ ტაიმშივე ფირცხალავას და ვასაძეს ანგარიშის არათუ გაორება, გასამებაც შეეძლოთ, მაგრამ ხელსაყრელ ვითარებაში ვერ იხეირეს.

მეორე ტაიმში „მეშახტემ“ გაიბრძოლა. ტყიბულელმა თავდამსხმელმა ერთხელ ისეთი ბურთი ვერ გაიტანა, წარმოდგენა ნამდვილად გაგიჭირდებათ. ამ ეპიზოდში ვერც დოლაბერიძეს დავუკარგავთ ამაგს — წაქცეულმა ლომთაძეს აუღებელი აუღო. მალე თანამსაჯი კახიანი ტყიბულელმა გულშემატკივრებმა მიზანში ამოიღეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ისეთი ქვათაცვენა დაატეხეს თავს, კობიაშვილმა თამაში გააჩერა, ალმოსავლეთ ტრიბუნისკენ კი პოლიციელთა დამატებითი ძალები გადაისროლა. არადა, ტყიბულელებს მსაჯისთვის სასაყვედურო არა ჰქონდათ რა, თავისიანებს გასჯავრებოდნენ, უკეთესი იქნებოდა.

მალე კვეტენაძემ საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა ვარდანიძეს ახლო კუთხეში გაუტანა და ყველაფერი გაარკვიაო, ახმაურდნენ ტრიბუნები. ორ წუთში მეშახტე მცველი სოფრომაძე თბილისელთა საჯარიმოში შეიპარა და ერთი ბურთი გაქვითა, რამაც დაძაბულობა ბოლო წუთამდე არ ჩააცხრო, მაგრამ კობიაშვილის სასტვენმა „მეშახტე“ ისევ მეორე ჯგუფში დააბრუნა. გახარებული თბილისელთა პრეზიდენტი რობიზონ ქინქლაძე მილოცვებს ვერ აუდიოდა — მან ხომ „ლოკომოტივი“ ჩემპიონატის უმაღლეს ეშელონში ჩარიცხა.



გასული უქმეები თითქმის ყველა კონტინენტზე შესარჩევი მატჩებით იყო დახუნძლული — აკი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის სამი ფინალისტიც კი გაირკვა: ტუნისი, მაროკო და ნიგერია — მაგრამ უიქენდის მშვენება მაინც ამხანაგური მატჩი იყო:

**ბრაზილია — იტალია 3:3**

იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

II შესარჩევი ჯგუფი

ბათუმი. სტადიონი „დინამო“, 7 ივნისი

**საქართველო 2:0 მოლდოვა**

1. ზოიძე
3. ცხადაძე
5. ჩიხრაძე    2. ლობჟანიძე
7. ნემსაძე
6. გოგიჩაიშვილი    4. კობიაშვილი
10. ქინქლაძე    8. ჯამარაული    9. ქეცბაია
11. შ. არველაძე

9. მიტერევი    10. სუხარევი
7. ეპურეანუ
11. კლეშჩენკო    6. პოპოვიჩი
5. კულიბაბა    8. შიშკინი
4. ტესტიმიცანუ    2. ფისტიკანი
3. ტოლოკონიკოვი
1. რომანენკო

შეცვლა: **ტესტიმიცანუ — 13. ბელოუსი (46), შიშკინი — 15. სპინუ (58), მიტერევი — როგაჩოვი (58), ჯამარაული — 13. კინაძე (66), ნემსაძე — 14. ა. არველაძე (80), ქეცბაია — 17. ჯანაშია (84)**

**1:0 შ. არველაძე (28), 2:0 ქინქლაძე (51 პ)**

გაფრთხილება: **კლეშჩენკო, შიშკინი**

მთავარი მსაჯი: **ჩარლზ აგიუსი (მალტა)**

# ზღვისპირეთში ამოვყვინთეთ

## ბათუმში ოზეროვს იცნობენ, შელიას კი არა

სამთავრობო ლოჟის მოპირდაპირე ტრიბუნაზე მოწყობილ პრეს-ბოქსში ერთ-ერთი პირველთაგანი მოვკალათდი. მცხუნვარე მზის გულზე ჯდომა და ორსაათნახევრიანი ლოდინი დიდად არ მეხალისებოდა, მაგრამ არ მეგონა, თუ ბათუმის „დინამოს“ სტადიონი არ გადაიჭედებოდა და საგანგებოდ და კარგად მოწყობილ კორდონებთან ჭყლეტის პიკში მისვლას თავი ავარიდე. ამინდმა დაგვინდო. თამაშამდე, ერთ საათს მაინც, მზე ღრუბლებს მოეფარა და ლოდინი გაუსაძლისი არ გახდა. თანაც, ესაც რომ არ ყოფილიყო, სტადიონზე ბევრი რამ თვალსასეირო ხდებოდა, რაც არ მომაწყენდა.

პირველად თვალი მოედნის ცენტრალურ რგოლზე დაფენილმა ფიფას მრგვალმა დროშამ მიიტაცა. ეს ერთი ატრიბუტი, მნიშვნელოვანი და კარგად რეკლამირებული მატჩისა. ცოტა ხანში ფლაგშტოკებზე ფეირ-ფლეის, მალტის და საქართველოს დროშებთან ერთად ჩვენი დროშის ძელაკზე წვერწამოდებული მოლდოვის დროშაც შევნიშნე, რომელიც სხვებზე უფრო გამორჩეულად ფრიალებდა. ვერ ვიტყვი, ცრურწმენას ავყევიო, რადგან ცოტა ხანში მინდორზე გამართულმა კონცერტმა და ზეიმმა ხასიათი გამომიკეთა და კარგი მატჩის სანახავად განმაწყო. ერთი იყო მხოლოდ, რამაც დამაფიქრა. რუსი კომენტატორის ნიკოლაი ოზეროვის ხსოვნას ბათუმში ისე პომპეზურად (თანაც ორჯერ) მიაგეს პატივი, დავეჭვდი, რუსეთ-ისრაელის საკვირაო მატჩზეც ასე ყოფილიყო. სიმართლე გითხრათ, ამაზე მეტად ის უფრო მეწყინა, პრეს-ლოჟაში შემოსულ ნაოპერაციებ და ყავარჯნებიან მურთაზ შელიას ვიღაც არაფეხბურთელმა და არაჟურნალისტმა ცარიელ სკამზე ფიჭური ტელეფონი რომ დაუდო, დაკავებულიაო. არადა, ეს მოწიფული კაცი ოზეროვისთვის პატივმისაგებ წუთიერი დუმილისასაც ფეხზე წამოდგა და მოგვიანებით ჰიმნებზეც გაჯგიმული იდგა. გამეცინა და ვერ გავიგე, საიდან იწყება საკუთარი სამშობლოს სიყვარული, თუ არა ნებისმიერი შეჭირვებულის (დროებით, თორემ ისე შელიას ღმერთმა აშოროს!) დაფასებიდან.

მინდორზე მომხდარი ჩემს გრძნობებს აღარ ეხმიანებოდა. იქ სამ თუ ოთხ ჯგუფად დაყოფილი ანსამბლი სხვადასხვას ცეკვავდა, ვიდეოტაბლოზე ყაბალახიანი აჭარელების და ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა სურათები იხატებოდა. ცაში ფერადი საჰაერო ბურთები აუშვეს. მოკლედ, ხარობდა ხალხი. მე კი არ მიხაროდა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს მაყურებელი აკლდა. ასე იყო მანამ, ვიდრე თამაში დაიწყებოდა.

## ერთი ფორვარდიც გვეყო

გუნდები მატჩისწინა მოთელვას ამთავრებდნენ, როცა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ყიფიანს მოლდოველთა შემადგენლობა მიუტანა. ვერ გეტყვით, ამის შემდეგ შეიცვალა რამ თუ ჩვენი ნაკრების თავკაცს თავიდანვე გადაეწყვიტა, რომ საქართველოს შინ მოლდოვასთან ერთი თავდამსხმელით ეთამაშა. ეს საკითხი უფრორე მატჩის წინ მაღელვებდა, თორემ ახლა, მოგებული მატჩის შემდეგ, ყიფიანის თქმისაც არ იყოს, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. ამას არც ვაპირებ. უბრალოდ, ორივე გუნდის და უფრო ჩვენების ტაქტიკაზე ვიტყვი. ორივე მეტოქის ტაქტიკური სქემა აქვეა და მისი ნახვა ყველას შეუძლია. მსგავსებაც იოლი დასანახია და განსხვავებაც. ყიფიანმა დაცვის სამკაციანზე გადაწყობა ნახევარდაცვის გასაძლიერებლად გამოიყენა, კარასმა კი თავდასხმისა. ნაფიქრმა ყიფიანს გაუმართლა, უფრო კი იმიტომ, რომ მისმა ფეხბურთელებმა მწვრთნელის დავალება იმაზე უკეთ შეასრულეს, ვიდრე მოლდოველებმა, თანაც ქართველებმა უფრო მაღალი კლასითაც დაჩაგრეს მეტოქე. ჩვენმა დაცვამ საკმარისად კი შესცოდა, მაგრამ არაერთ კრიტიკულ მომენტში უგოლოდაც შეინახა კარი, ამათმა დამხმარე კობიაშვილ — გოგიჩაიშვილმაც მთელი ფრთა კარგად გააკონტროლეს. ოთხკაციანმა ნახევარდაცვამ კი, საჭიროებისამებრ ფლანგელ თანაგუნდელებსაც რომ იხმარდა, სწორედ რიცხობრივი უპირატესობის ხარჯზე მოუგო მინდვრის ცენტრში თამაში მოლდოველებს. ერთი რამ მაინც იგრძნობოდა: ჩვენი ნახევარდაცვის ცენტრალურ ხაზს შეტევის განსავითარებლად არჩევანი არ ჰქონდა. ქინქლაძე, ქეცბაია და ჯამარაული, მონოფორვარდიანობის გამო კიდე, ხშირად ან თავად უტევდნენ, ანაც ერთმანეთისთვის ბურთის მიბარებას ამჯობინებდნენ. ასეთ შემთხვევებში ქინქლაძე და ჯამარაული იშვიათად თუ ეხსნებოდნენ ბურთიან პარტნიორს ისე, რომ შეტევა გაგრძელებულიყო. მხოლოდ ქეცბაიამ აუღო ალღო ასეთ თამაშს და შოთასთან ის ტანდემი ჩამოაყალიბა, რომელმაც მოლდოველთა დაცვა მოქანცა.

ჩვენებურთა კიდევ ერთი და უმთავრესი ნაკლი თამაშის დაბალი ტემპი იყო. ეს ის ფაქტორია, რომელმაც ხელი შეუშალა ინგლის — იტალიას, ჩვენთვის უფრო დამაჯერებლად მოეგოთ, შაბათს კი მოლდოვას ნაკრები სულაც უძალო გახადა და პოლონეთთან თუ იტალიასთან მოთამაშე გუნდისგან დიდად დააშორა. ჩვენი მწვრთნელები დაბალ ტემპს ცუდ ფიზიკურ მომზადებას აბრალებენ. მე კი სხვაგვარად მგონია. არის კიდევ ისეთი რამ, რაც საქართველოს ნაკრებს თავიდანვე ნაკლად ჰქონდა და ყიფიანის ხელშიც გადმოჰყვა. ეს წინასწარ დამუშავებული კომბინაციებისა და სტანდარტულ მდგომარეობათა გამოყენების უქონლობა და არცოდნაა. ქართველებს ზედმეტად გვჯერა, რომ იმპროვიზაციის უნარი გვაქვს და მის იმედად ვთამაშობთ. არა, იმპროვიზაცია წინასწარ ნაფიქრსაც სჭირდება, თორემ ამას ჭკვიანი მეტოქე მალე გაგიშიფრავს. უბრალოდ, ეგაა, რიცხობრივ უპირატესობას ხელთ რომ მოიგდებ, შეტევის გაგრძელების გზაზე მერელა აღარ უნდა ფიქრობდე, თორემ დროის ფლანგვა შესაძლოა ძვირადაც დაგიჯდეს.

კარგით. მოლდოვასთან გაგვივიდა ჩვენი ტაქტიკა, ჰა, ჰა, პოლონეთთანაც გაგვივიდეს, მაგრამ ინგლისმა ხომ მაინც გვაჯობა, ვეჭვობ, იტალია მეორედაც პერუჯისებრ გვეთამაშოს. თუნდ ასე არ იყოს, ვინმეს კიდეც მოვუგოთ, ასე ხომ ვერ ისიამოვნებ. თანამედროვე ფეხბურთი ერთი რამით მართლაც დაემსგავსა ნბას მატჩებს. აქაც ოდენ ბრძოლის ჟინის გარდა უსწრაფესი ტემპი და შეტევათა მონაცვლეობა იტაცებს თვალს. ქართველთა უსწრაფესი მოთამაშეების მოქმედება კი დიდად არ განირჩევა გრანდთა თამაშის შენელებული, განმეორებითი კადრების სისწრაფისგან.

## გაუსამართლებელნი

ახლა ეს შენიშვნა ვიკმაროთ და კარგზეც ვთქვათ. ყველა ფეხბურთელის თამაში უკეთესის სურვილს ვერ აქრობდა, მაგრამ ესაცაა, ცუდად არავის უთამაშია, რამდენიმემ კი გამორჩეულად კარგად ითამაშა. ზოიძით დავიწყოთ. მართალია, იგი ორიოდჯერ შეაწუხეს, მაგრამ მეტოქეს ორჯერვე ადგილზე დახვდა, მაშინ კი, როგაჩოვს წინ რომ გამოუხტა, დარტყმის კუთხე შეუმცირა და აცილებაში ხელი შეუწყო; კახი ცხადაძე რამდენჯერმე კი შეცდა, მაგრამ ბევრჯერაც განმუხტა ჩვენს კართან შექმნილი დაძაბულობა, ლობჟანიძე — ჩიხრაძე კარგადაც დააზღვია და არაერთხელ პირველ ბურთზეც დაეხმარა. ლობჟანიძე და ჩიხრაძე, ვერ ვიტყვით, უშეცდომოდ, მაგრამ საიმედოდ თამაშობდნენ. „სამეურვეო ობიექტებს“ ისე მჭიდროდ მიეკვრნენ, შეიძლებოდა, მსაჯს ყვითელი ბარათითაც დაეჯილდოვებინა, მაგრამ საკუთარ კარში მიღებულ გოლს მაინც ეს სჯობდა, ასე რომ, მათ მიერ აკრძალული ილეთთა არცთუ იშვიათი გამოყენება გამართლებული იყო. ნემსაძემ მინდვრის შუაგულში წმენდას და შეტევების ორგანიზებას კარგად გაართვა თავი, ოღონდ მისი ნაღვაწი ისე აღარ გამოჩნდა, რადგან ჰმჯერად არც კოსტადინოვს მეურვეობდა და არც გესქოინს. კობიაშვილმა აშკარად უფრო ეფექტურად ითამაშა, ვიდრე გოგიჩაიშვილმა, ეს გოლის გატანაში დადებული ლომის წილითაც აისახა. მიზეზი ის იყო, რომ პოპოვიჩი ლევანს იშვიათად აწუხებდა და ამასაც შეტევისთვის მეტი დრო რჩებოდა, გოგიჩას კი კლეშჩენკოსთვის ჩრდილივით უნდა ედია. და მაინც, გოგიჩაიშვილმა რამდენიმე გარღვევა-ჩაწოდება მოახერხა, თუმცა აქედან გოლი არ გასულა. იქნებ იმიტომაც, რომ უძალობის გამო კახის უფრო ნაუცბადევი ჩაწოდებები გამოუვიდა; ქეცბაია — ჯამარაულ — ქინქლაძის ტრიოს უფრო მობილური და სარგებლიანი თამაში მართებდა. ესენი ერთმანეთს უფრო ანგარიშს უწევდნენ, ვიდრე ავსებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთმანეთის ჩრდილს უმალვე თავს აღწევდნენ, რისი დასტურიც ქეცბაიას სწრაფი და ლამაზი გარღვევები, ჯამარაულის მიერ გახერხებული პენალტი და ქინქლაძის გამოზომილი, მწვავე პასები იყო. ჯამარაული პენალტისას რომ არ წაექციათ, გოლს აუცილებლად გაიტანდა, მაგრამ ეს მისია ნაკრების პენალტისტმა ქინქლაძემ იკისრა, ქეცბაიას თამაში კი გოლით რომ არ დაგვირგვინდა, დიდი უსამართლობა იყო. შოთა არველაძემ ნაკრებში თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა. შედეგიც მოიმკო — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში გატანილი პირველი გოლის ავტორობა. 90 წუთში მან ყველაფერი მოასწრო, ყველაფერი მოახერხა — გატანაც, გაცუდებაც, უკან დახევა და დროულად შეტევა, ქეცბაიასთან თამაშის აწყობა და მეტოქის მცველთა თუ მეკარის შეწუხება, მოსატეხ ფაცერში ფეხის ჩაყოფაც და საჭიროებისას, თუმც კი იშვიათად, მორიდებაც. სწორედ ამათმა არცთუ უნაკლო, მაგრამ საერთო ჯამში არცთუ ურიგო თამაშმა შვა მოლდოვასთან მოგება. პირველი მოგება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

## გვიხაროდეს?

მოგებული თამაშის შემდეგ გახარებულნი ერთმანეთს ულოცავდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პირველ გამარჯვებას. აბა, როგორ არ გაგვეხარებოდა, როცა ბოლო 7 მატჩში ოდენ სომეხთა განადგურებით თუ მოვიწონებდით თავს. გამიხარდა, მაგრამ გულში გამწიწკნა: ვისთან მოგებაა, რომ გვიხარია-მეთქი. არა. მოგება-მოგებაა, მაგრამ მოგებაცაა და მოგებაც. თავისთავად ცხადია, ინგლისელს საქართველოზე გამარჯვებაც ისევე უხარია, როგორც ჰოლანდიაზე ან ესპანეთზე. ამ ლოგიკით ჩვენც უნდა გაგვიხარდეს ისეთი ქვეყნის გუნდთან გამარჯვება, რომელიც სათვალავში არ გვყავდა და ორჯერ კი გაგვამწარა. უნდა გვიხაროდეს, მაგრამ მაინც მგონია, რომ მოლდოვასთან გამარჯვება ჩვენი ნაკრებისთვის ჩვეულ ამბად უნდა იქცეს და მეტი სიხარული უფრო ძლიერებთან მოგებამ უნდა მოგვგვაროს. ამას მხოლოდ ქართველობა ან ქომაგური სიგიჟე არ მათქმევინებს. არც ის, ყველა ქართველ სპეციალისტს პირზე რომ აკერია: პოტენცია გვაქვს და უნდა მოვუმატოთო. ყოველივეს უფრო იმის იმედით ვამბობ, რომ ორივე გუნდმა, ეროვნულმაც და ახალგაზრდულმაც, კრიზისი დაძლია, გამოცდილება მიიღო და ახლა მის გამოსაყენებლად ბოლომდე უნდა დაიხარჯოს. თორემ თუ ის ვთქვით, მოლდოვასთან ორჯერ იმიტომ წავაგეთ, ევროპის ჩემპიონატზე დებიუტანტები ვიყავითო (გეგონება მოლდოველებს ჭიპი ჰქონდათ ამ ასპარეზობაზე მოჭრილი) და ახალგაზრდული ნაკრების წარუმატებლობანიც ახალბედობით (21 წლამდე ნაკრებში ყოველთვის ახალწვეულები იქნებიან) ავხსენით, ცხადია, მოლდოვასთან მოგებაც სანატრელი და გასახარი გაგვიხდება.

**ვახტანგ ბზიკაძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



შოთამ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველთა პირველი გოლი გაიტანა



ზოიძეს თავისმა მწვრთნელმა გაბელიამ მიულოცა, ქინქლაძეს — კირვალიძემ

### მატჩის ქრონიკა

7 შოთა არველაძემ ქეცბაიას კედელი გაუთამაშა, ამან კი ნემსაძეს დაუგდო, რომლის დარტყმა ხარიხას გადასცდა.
16 საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა ქინქლაძემ ორი მცველი მოატყუა და მესამის უხეშობისას წაიქცა. აგიუსმა ქართველს თამაშის გაგრძელება მოსთხოვა.
18 გოგიჩაიშვილის ჩაწოდებულ ბურთს შოთამ მცველებთან ბრძოლაში თავი კი მიარტყა, მაგრამ კარს ისედაც აცდენილი რომანენკომ აიღო.
23 ისევ შოთა — ქეცბაიას კედელი, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილი შოთა ბურთის დასამუშავებლად მზად არ იყო და სუსტად წაჰკრა ფეხი.
25 საჯარიმოში ცენტრიდან შეჭრილ ნემსაძეს უხეშად ეთამაშნენ — სარმით გაუმასპინძლდნენ, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა.
28 მრავალსვლიანი კომბინაციის ბოლო ასეთი გახლდათ: ქინქლაძემ ცენტრიდან მარცხენა ფრთაზე გაჭრილ კობიაშვილს გააყოლა ბურთი, ამან კი კარის გასწვრივ შემოაგდო, რომელიც [illegible]
29 რომანენკომ საჯარიმოს მისადგომებიდან ქინქლაძის დარტყმული აიღო.
32 საჯარიმოში ცხადაძის ფეხს ბურთი ოდნავ რომ გაკრა, სუხარევი წამოედო, მაგრამ მსაჯმა ამასაც წინანდებურად მოუხუჭა თვალი.
37 სუხარევმა ლობჟანიძესთან ბრძოლაში მოპოვებულ კუთხურს თავი კი დაარტყა, მაგრამ ააცილა.
38 შოთამ და ქეცბაიამ მორიგი კედელი გაითამაშეს, ქეცბაიას დარტყმული მოიგერიეს, წაქცეულმა შოთამ კი ველარ დაამატა.
51 შოთამ ცენტრში ქინქლაძეს მიაწოდა, ამან საჯარიმოში ჯამარაულს შეუყოლა ბურთი, გოჩა მოცელეს და პენალტი აუღელვებლად გაიტანა ქინქლაძემ.
57 ქინქლაძემ ქეცბაიას პასზე ბოლომდე იბრძოლა, ბურთი ზედ პირით ხაზთან მოიგო, საჯარიმოში შოთას მიაწოდა, რომელმაც მკერდით ქეცბაიას დაუგდო, მაგრამ ამის დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.
58 შოთამ ქინქლაძის მიერ მიწოდებული ბურთი მცველს თავზე გადაატარა და ნემსაძეს დაუგდო, მაგრამ ამისი დარტყმა რომანენკომ აიღო.
67 ახალშემოსული როგაჩოვის დარტყმისას ზოიძე ოდნავ წინ გამოსუ- [illegible]
81 როგაჩოვმა მიერ დაგრძელებული ბურთი მარცხნიდან საჯარიმოს [illegible] კლეშჩენკომ მოქნილად გაგზავნა კარისკენ, მაგრამ ხარიხას ოდნავ ასცდა.



მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის წინ ბათუმელებმა ისეთი ალაფურშეტი მოგვიწყეს, ვერც რომ იოცნებებდა კაცი. ეგ იყო, რესპონდენტებიც მალე შემოგვესწრნენ და მოსუფრალთა საქმეზე გადმორთვა და ყბათა კაპუნის შეწყვეტა კარგა ხანს გაჭიანურდა. თავდაპირველად ორივე მწვრთნელმა თავ-თავიანთი აზრი მოგვახსენა თამაშზე, ჯერ, წესისამებრ, სტუმარმა, მერე კი მასპინძელმა.

# იონ კარასი: ქინქლაძე რომ არ გყოლოდათ...

პრესკონფერენცია

# დავით ყიფიანი: ჩვენ შინ ვართ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

იონ კარასი: პირველ რიგში, მინდა საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პირველი მოგება მივულოცო. პირველ მოგებას ვულოცავ დავით ყიფიანსაც, რომლის გუნდმა დღეს ღირსეულად გაიმარჯვა. დღეს ქართველები ბურთის ფლობით გამოირჩეოდნენ, რის წინააღმდეგ ჩვენ უფრო მჭიდრო თამაში გვმართებდა. ქართველებს უპირატესობა ჰქონდათ მოედნის შუაგულში, რის აღმოსაფხვრელად შეცვლაც გავაკეთეთ, მაგრამ კურტიანუს შემცვლელი ვერ გამოინახა. ვფიქრობ, ჩვენს ჯგუფში ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ახლა მესამე, საპატიო ადგილისთვის იქნება შეჯიბრი.

დავით ყიფიანი: მინდა სიხარული გამოვხატო, რომ სამი წაგებული თამაშის შემდეგ გავიმარჯვეთ. ამ მოგებას ყველა ელოდა. თუმცა ახლა ზოგ-ზოგიერთის თვალწინ რომ ვწითლდები, იმის ნიშანია, რომ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. კი იყო კარგი ფრაგმენტებიც, მაგრამ ხანდახან ისე ვცდებოდით, ნუ მიწყენს ჩემი კოლეგა და, ამას უფრო მაღალი კლასის მეტოქე არ გვაპატიებდა. მოლდოვური ფეხბურთი ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო. ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა საკავშირო ჩემპიონატში თავადაც ვთამაშობდი. მაშინ ჯერ „მოლდოვა" გამოდიოდა, შემდეგ „ნისტრუ" და ჩვენ მათთან თამაში არ გვეიოლებოდა. დღეს მოლდოველებს აშკარად ეტყობოდათ კაპიტნის არყოფნა. კურტიანუ ის ფეხბურთელია, ვინც თამაშს ალაგებს. მას რომ ეთამაშა, იძულებული ვიქნებოდი, მისთვის ერთი კაცი პერსონალურად მიმეჩინა.

დღეს ჩვენს გუნდში სამმა ისეთმა ფეხბურთელმა დაიწყო თამაში, ვინც ინგლისთან წინა შეხვედრისას გვაკლდნენ. ესენია: კობიაშვილი, ლობჟანიძე და გოგიჩაიშვილი. გამოვცადეთ ახალგაზრდული ნაკრების წევრი კიკნაძე. ნელ-ნელა ვაჩვევთ ჯანაშიასაც. უახლოეს ხანს კალაძის დაყენებას ვაპირებთ. ასე რომ, ახალი სისხლი ნაკრებისთვის ნელ-ნელა იქნება.

დღევანდელი მატჩის მთელი 90 წუთი დაძაბული იყო.

იონ კარასი: დღეს მეორე შემთხვევა იყო, კაპიტანმა კურტიანუმ თამაში რომ გამოტოვა. ეს ადრე ალბანეთთან მოხდა, მაგრამ ალბანეთის ნაკრები ისე ძლიერი არ იყო, როგორც საქართველო. მაპატიეთ შედარებისთვის, მაგრამ წარმოიდგინეთ, თქვენს ნაკრებს ქინქლაძე რომ არ ჰყოლოდა...

პრეტენზიები ფეხბურთელთა მიმართ მაინც მაქვს, მათ ყველა დავალება არ შეასრულეს. მატჩის ბოლოსკენ დაიღალა მანამდე აქტიური სუხარევიც, რომელმაც ტრავმის გამო 10 დღე გამოტოვა და ფორმა ბოლომდე ვერ აღიდგინა.

**— მსაჯს თქვენს სასარგებლოდ პირველ ტაიმში პენალტი რომ დაენიშნა, ეს საბოლოო შედეგზე გავლენას მოახდენდა?**

— მსაჯის მოქმედების კომენტირება ჩემი საქმე არ არის. თუმცა კი ვთვლი, რომ პენალტი იყო, ვფიქრობ, მისი დანიშვნით ბევრი რამ არ შეიცვლებოდა.

ამის შემდეგ ყიფიანმა ქართველთა მიზანზე ისაუბრა და პენალტის თემასაც დაუბრუნდა, კარასს კი შეახსენეს, მასპინძლობისთვის მადლობა რომ არ ეთქვა.

იონ კარასი: მაპატიეთ, რომ გამომრჩა. ჩვენ ბრწყინვალე პირობები გვქონდა მატჩისთვის მოსამზადებლად, მადლობას გიხდით დახვედრისთვის.

დავით ყიფიანი: ჩვენი მიზანი ის იქნება, რომ ყველა თამაშში ბოლომდე ვიბრძოლოთ. მძიმე თამაში გველის კიშინიოვში, ერთ კვირაში პოლონეთში მივდივართ, მერე კი იტალიას ვმასპინძლობთ. იმედი მაქვს, რომ ჩვენ განვვითარდებით და უკეთ ვითამაშებთ. რადგან საფრანგეთში წასვლის შანსი დავკარგეთ, ახლა ამისთვისღა უნდა ვიბრძოლოთ. არადა, როცა მოთამაშეთა 70 პროცენტი ლეგიონერია, ძნელია, შეკრებისთვის განკუთვნილ მოკლე მონაკვეთში თამაშისთვის კარგად მომზადება.

რაც შეეხება პენალტს, ვთვლი, რომ ვიდრე ცხადაძეზე იქნებოდა, ორი თერთმეტმეტრიანი ჩვენს სასარგებლოდ უნდა დანიშნულიყო. თუ წინათგრძნობა არ მღალატობს, თამაშამდეც ვგრძნობდი, რომ უნდა მოგვეგო და მოლდოველებს ჩვენთვის პენალტიც რომ გაეტანათ, ვფიქრობ, მაინც მოვიგებდით. პირველი გოლის მერე ბიჭები მოეშვნენ, როცა შესვენებაზე შევუჩიჩხინე, მეორე ტაიმი კვლავ კარგად დაიწყეს და საგოლე მომენტებიც შექმნეს. ბიჭები გადაღლილი არიან. ეს არც მიკვირს. ქინქლაძემ ბოლო თამაში 30 აპრილს „უემბლიზე" ითამაშა და მერე კარგა ხანს არც უვარჯიშია. დაღლილი ჩანდა ქეცბაიაც. წარმოიდგინეთ, რამხელა სეზონია ამ ბიჭის უკან. გოგიჩაიშვილმაც მთელი სეზონი ითამაშა „დინამოში"...

ბრძოლა თუ იქნება, შედეგიც იქნება, ხოლო, თუ ერთი ფეხბურთელი მაინც ბრძოლას ფეხს მოარიდებს, არაფერი გამოვა.

**— ბათუმელები დარწმუნებულნი ვიყავით, რომ დღეს გელა შეყილაძე ითამაშებდა. უკმაყოფილო ხართ „უემბლიზე" მისი თამაშით?**

— გელას თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ. „უემბლიზე" პირველი თამაში იოლი საქმე არ არის...

**— ვფიქრობდით, რომ, რადგან თამაში ბათუმშია, მას ათამაშებდით...**

— სადაც უნდა იყოს თამაში, უფლება არ მაქვს, ესა თუ ის ფეხბურთელი ამა თუ იმ მოსაზრებათა გამო დავაყენო. დღეს ლობჟანიძის, იგივე ჩიხრაძის თამაში ჯობდა. თუ გნებავთ, ამას კიდეც დაგისაბუთებთ.

**— კმაყოფილი ხართ თუ არა ბათუმელ გულშემატკივართა ქომაგობით და ელოდით თუ არა ასეთ მხარდაჭერას?**

— ჩვენ შინ ვართ! ქომაგობას არათუ ველოდი, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ასე იქნებოდა. ბათუმი ამ მატჩისთვის დღედაღამ ემზადებოდა და ის ბიჭები, ვინც მანჩესტერებში, ტრაბზონებსა და ნიუკასლებში თამაშობენ, განცვიფრებული დარჩნენ. პირდაპირ ვიტყვი: დღეს ჩვენში ევროპულ სტანდარტებს ერთადერთი ბათუმის სტადიონი უპასუხებს, მაგრამ მინდვრის საფარი ჯერჯერობით უკეთესის სურვილს გვიტოვებს.

**— შესაძლებელია, რომ იტალიელებსაც ბათუმში ვუმასპინძლოთ?**

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

**— გოგიჩაიშვილი ჩვეულად ვერ თამაშობდა...**

— თუ დააკვირდით, გოგიჩაიშვილის მხარეს მოლდოველთა უსწრაფესი ფეხბურთელი კლეშჩენკო თამაშობდა. მოლდოვას მწვრთნელმა ერთგვარი სურპრიზი მომიმზადა, კლეშჩენკო მარცხენა ფრთაზე დააყენა. კახიმ მოახერხა კლეშჩენკოს განეიტრალება და მან ერთადერთხელ დაარტყა სახიფათოდ. კახის ნაკრებში სხვა როლი ჰქონდა, „დინამოში" კი სხვა რამ ევალება. თუ დღეს მან შეტევაში ბევრი ვერაფერი გააკეთა, სამაგიეროდ, დაცვას დაეხმარა.

**— თქვენი აზრით, ვინ იყო დღეს ქართველთაგან საუკეთესო?**

— ქინქლაძე.

**— ამჯერად ორი მატჩისწინა შეკრება ერთმანეთს რომ გადაება, მუშაობის უკეთესი საშუალება გქონდათ...**

— ხუთდღიან შეკრებაზე ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ვნახეთ ჩვენი ნაკრების მონაწილეობით გამართული თითქმის ყველა მატჩის ვიდეომასალა. მოთამაშეთა გულშიც ჩავიხედეთ და მეტი ყურადღება დავუთმეთ იმას, რაც ჩვენი ნაკლია. ასეთი კი დაცვის უკეთ შეთამაშება და შუახაზის მეტი მობილურობაა. დღეს ჩვენს ხუთ ფეხბურთელს კარის მშრალად შენახვა ევალებოდა, დანარჩენებს კი შეტევა. პირველი გოლი ქრესტომათიული სილამაზისა იყო. ოღონდ ეგაა, ასეთი რამ ეპიზოდები არ უნდა იყოს. უკეთ უნდა გამოვიყენოთ ბურთის ფლობის ტექნიკა და იმპროვიზაციის უნარი.

**— ნემსაძის გამოცვლა რითი იყო გამოწვეული?**

— შეცვლილები, ცოტა არ იყოს, დაიღალნენ. ნემსაძე კი მეტი მონდომების გამო წინ მიდიოდა, რაც სათამაშო დისციპლინის კლავიშინდებური სისუსტის ბრალია.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ცხადაძე იყო ცენტრალური მცველი და ლობჟანიძე ლიბერო...**

— ეს შეგნებულად ხდებოდა, ცხადაძე პირველ ბურთზე წინ მოდიოდა, რადგან თავით კარგად თამაშობს, ასეთ შემთხვევებში მას ლობჟანიძე აზღვევდა.

**— ერთ კვირაში პოლონეთს უნდა ვეთამაშოთ...**

— პოლონეთი მოლდოვაზე გაცილებით ძლიერი გუნდია. თანაც აქ ერთი ფაქტორი იმუშავებს — ინგლისთან თამაშისას ჩვენ უკეთეს პოზიციაში ვიყავით, რადგან წარუმატებლობის შემთხვევაში არავინ დაგვძრახავდა, დღეს კი კუთხეში ვიყავით მიმწყვდეულნი, რადგან აუცილებლად უნდა მოგვეგო. საერთოდ, ნგრევა ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე შეტევა. 1:0-ის მერე ჩვენებს ბურთი რომ არ დაეკარგათ და უპირატესობა სტუმართა მხარეს არ გადასულიყო, უბრალოდ, დაღლიდნენ მოლდოველებს.

შესვენებაზე, გასახდელში რომ შევედი, ბიჭები ანერვიულებულნი დამხვდნენ. დავაწყნარე, შენიშვნები მივეცი და როგორც ნახეთ, მეორე ტაიმი უკეთ ჩაატარეს.

ამით მორჩა. ყიფიანისთვის მავანის მიერ ნაჩუქარი ლექსების კრებული კი ნაკრების მწვრთნელს მაგიდაზე დარჩა. გასაკვირი არც იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პირველი გამარჯვების სიხარული ყიფიანს დიდხანს ვერ გაჰყვება, რადგან შაბათს პოლონეთთან გასვლითი მატჩი აქვს და პიტიკოსობას ვერ დაიწყებს.

**ვახტანგ ბზიკაძე**

---

## მატჩის შემდეგ

კახა გოგიჩაიშვილს მთელი მარჯვენა ფლანგი ებარა და კაციშვილი არ გააჭაჭანა. იმავე ადგილზე მოთამაშე სერგეი კლეშჩენკომ კი, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთხელ დაარტყა კარისკენ.

— მოლდოველებთან თამაშს ჩვენთვის უდიდესი, პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ვფიქრობ, ყველა საფეხბურთო კომპონენტში დავჯაბნეთ მეტოქე. ტექნიკაზე და ტაქტიკაზე რომ არაფერი ვთქვა, მგონი, ფიზიკურადაც არ ჩამოვუვარდებოდით. ალბათ, სწორედ ამან გაგვამარჯვებინა.

**— შენთვის ჩვეული დრიბლინგი ვერც ერთხელ ვერ შეასრულე.**

— მთელი ფლანგის კონტროლი მქონდა დავალებული, თანაც, სტუმართა ერთ-ერთი ლიდერის კლეშჩენკოს წინააღმდეგაც ვთამაშობდი და თავდასხმაზე მეტად დაცვაზე ვფიქრობდი.

გოგიჩაიშვილის მსგავსად ლევან კობიაშვილიც ფლანგზე თამაშობდა, ოღონდ მარცხნივ და მიუხედავად ახალმოშუშებული ტრავმისა, მაინც ვაჟკაცურად იბრძოდა.

— გამარჯვებისთვის ყველაფერი გავაკეთეთ. მართალია, ბევრჯერაც შევცდით, მაგრამ მთლიანობაში მაინც კარგად ვითამაშეთ. მგონი, რევანშიც ღირსეული ავიღეთ.

**— მეორე ტაიმში იყო რამდენიმე ეპიზოდი, როდესაც უპირატესობა მოლდოველებისა იყო და საკმაოდ მწვავედაც შემოგვიტიეს. თქვენ კი რატომღაც დაცვაში „ჩასხედით". დავალება იყო ასეთი?**

— არა. ყიფიანს ასე არ დავურიგებივართ. უბრალოდ, ხანდახან ამას სათამაშო სიტუაცია მოითხოვდა.

**— ძველ ტრავმას ხომ არ შეუხსენებია თავი?**

— სიმართლე გითხრა, ერთი-ორჯერ საშინლად ამტკივდა კიდეც და ძალიანაც გამიჭირდა, მაგრამ მოვითმინე. ახლა კი თავს კარგად ვგრძნობ.

გიორგი ქინქლაძემ ნაკრების შეკრებამდე 40 დღის უვარჯიშებელმა ითამაშა.

— მოლდოველებთან აუცილებლად უნდა მოგვეგო, თუნდაც იმიტომ, წინა ციკლში ორჯერ რომ გაგვამწარეს. ყველამ მოვინდომეთ და შედეგს მივაღწიეთ.

**— უფრო შთამბეჭდავად გამარჯვება არ შეიძლებოდა?**

— როგორ არა, მაგრამ დღეს ჩვენი მიზანი სამი ქულის აღება იყო და, როგორც კი ორბურთიანი უპირატესობით დავწინაურდით, ბურთი დავიჭირეთ. ან კი რატომ უნდა შეგვეტია, როცა მეტოქე ზემოთ არ ამოდიოდა და ისევ დაცვაზე ზრუნავდა.

კახა ცხადაძე ჩვენებიდან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. გასახდელიდან გამოსულს ბათუმელი ბიჭუნები მისცვივდნენ და კახამაც სამახსოვრო საჩუქრები ჩამოურიგა მათ.

— შედეგითაც და თამაშის დონითაც კმაყოფილი ვარ. კოლექტიურად ვითამაშეთ, ყველას გვესმოდა ამ მატჩის მნიშვნელობა და მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. თანაც კარგი თამაშით გავიმარჯვეთ, გოლებიც ხომ ულამაზესი კომბინაციების შედეგად გავიტანეთ. მე მესმის მაყურებლების, მათი სურვილი, რაც შეიძლება მეტი გოლი ენახათ, მაგრამ ეს ფეხბურთია — ყოველთვის ისე არ გამოვა, როგორც გვინდა. რაც შეეხება მეტოქეს, სამი წლის წინანდელთან შედარებით ძალიან მოუმატებიათ და ეჭვი არ მეპარება, ბევრ გუნდს გაამწარებს.

**— იმ ეპიზოდზე მინდა გკითხო, როცა მავანთა აზრით, თამაშის წესი დაარღვიე და პენალტიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ არბიტრმა...**

— არავითარი პენალტი არ იყო. როცა „პადკატს" ვასრულებდი, სუხარევმა ეს დაინახა და წაიფერისტა: თავისსავე ფეხს წამოჰკრა მეორე და ისე წაიქცა. ეს ზოიძემაც კარგად დაინახა.

**— უშელიობას როგორ შეეგუე?**

— რა თქმა უნდა, შელია დიდი ძალაა, მაგრამ არც ლობჟანიძესა და ჩიხრაძესთან ერთად გამიჭირდა თამაში, მითუმეტეს, მერამდენე წელია, ერთად ვთამაშობთ და კარგად ვიცით ერთმანეთის შესაძლებლობები. მთელი მატჩი, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩავატარეთ, თუ იმ რამდენიმე მომენტს არ ჩავთვლით, სუხარევმა რომ შექმნა. მაგრამ ისეთი არაფერი მომხდარა, უხეშად შევცდითო, ვთქვა.

გოჩა ჯამარაულმაც ბევრი იმუშავა, იბრძოლა, არაფერს ერიდებოდა და, ალბათ, ბათუმში ჩამოსულ ლონდონის „არსენალის" წარმომადგენელსაც მოაწონა თავი.

— მოლდოველებზე შედარებით მაღალ კლასს დავუმატეთ მონდომებაც და თამაშიც ისე ავაწყვეთ, უეჭველი იყო, გავიმარჯვებდით.

**— მეტოქეზე რას იტყვი?**

— განსაკუთრებით არაფრით გამოუჩენიათ თავი. მაშინ, სამი წლის წინათაც თითქმის იგივე თამაში იყო, ოღონდ ვერანაირად ვერ გავიტანეთ გოლი, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელთან შედარებით თბილისში უამრავი საგოლე მომენტი გვქონდა. განსხვავება კი ერთი იყო — დღეს უფრო ფრთხილობდით.

ნუგზარ ლობჟანიძემ შელიას ადგილზე ითამაშა და მისი დამსახურებაცაა, ნაკრებმა კარი მშრალად რომ შეინახა.

— ცოტა არ იყოს, დღეს განსხვავებული დაცვითი ტაქტიკით ვითამაშეთ. მე და კახა ცხადაძე ერთმანეთს ხშირად ვენაცვლებოდით, ზონური პრინციპით ვთამაშობდით, იმათ თავდამსხმელს, ვინც ახლოს იყო, იგი მეურვეობდა. მეორე ტაიმში კი ყიფიანმა ისევ შეცვალა ტაქტიკა და კახას ლიბეროდ თამაში დაავალა. მე კი ცენტრალურ თავდამსხმელს ვმეურვეობდი. მგონი, კარგად ვითამაშეთ, იმ შეცდომებს თუ არ ჩავთვლით, გამოუცდელობისას რომ მოსდით ხოლმე. გამოუცდელობაში კი ჩემი და კახას ასეთ გადაადგილებას ვგულისხმობ. თუმცა, ეს ბუნებრივია, პირველად გაგვიჭირდა, მერე და მერე კი ყველაფერი დალაგდება და ჩვენც უკეთ ავთამაშდებით. მოგებაზე კი ამას ვიტყვი — ეს თამაში ჩვენს სასარგებლოდ რომ არ დაგვემთავრებინა, მოედნიდან ისე არ გამოვიდოდით.

ზაზა ჯანაშიას სახეზე სიხარული აღბეჭდვოდა. თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ იყო: ჩვენმა ნაკრებმა პირველად გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში და თავად ზაზამაც პირველად მოირგო ნაკრების მაისური.

— ძალიან კარგია, რომ მოვიგეთ. ამის შემდეგ, იმედი მაქვს, უკეთ და მეტი თავდაჯერებით ვითამაშებთ. მთავარია, გოლის გატანა მოვახერხეთ.

**— შენ რომ ვერ გამოიჩინე თავი...**

— ეგ არაფერია, იმედია, მომავალში მაინც შევძლებ. ძალიან გამიხარდა ყიფიანის მიწვევა. კაცი რომ მენდობა, უფრო მობილიზებული ვხდები და ერთი სული მაქვს, ნდობა გავუმართლო.

მოლდოველთა გასახდელში განსაკუთრებული მწუხარება არ სუფევდა. მოგვეჩვენა, თითქოს კმაყოფილნიც კი იყვნენ, მხოლოდ ორბურთიანი ანგარიშით რომ დამარცხდნენ...

იონ ტესტიმიცანუ:

— თქვენებმა ისე ითამაშეს, შანსიც არ დაგვიტოვეს. მართალია, სუხარევის წაქცევისთვის პენალტის დანიშვნაც შეიძლებოდა, მაგრამ ეს ანგარიშზე მნიშვნელოვნად მაინც არ იმოქმედებდა. ანალოგიური მომენტი ხომ ჩვენს კართანაც შეიქმნა, თანაც ორჯერ და, გულახდილად რომ ვთქვა, მეგონა ისინი პენალტით დამთავრდებოდა. თუმცა არბიტრმა სხვაგვარად განსაჯა.

**— სამი წლის წინაც, ფაქტობრივად, ანალოგიური ტაქტიკით ცდილობდით ქართველთა შებოჭვას. ამჟამად ეს ვერ შეძლით. თქვენი აზრით, რამ განაპირობა თქვენი მეტოქის გამარჯვება?**

— მოედნის შუახაზში უზადო თამაშმა. მიჭირს რომელიმეს გამორჩევა — ქეცბაია, ჯამარაული და ნემსაძე წარმატების შანსს არ გვიტოვებდნენ, წინ კი შოთა არველაძემ ისე ითამაშა და იმდენი ენერგია დახარჯა, ერთად აღებულ წინა ორ თამაშში რომ ვერ შეძლო.

თქვენ ბედნიერები ხართ. ლეგიონერებში ხომ საუკეთესოებს არჩევთ, თანაც შეკრული გუნდი გყავთ. ჩვენი გაახალგაზრდავებული გუნდი კი თქვენთან საბრძოლველად ჯერ მზად არ იყო. თანაც, იყო პატარ-პატარა შინაური პრობლემები.

**— რას გულისხმობთ?**

— ძნელია, მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშო მოლდოვის ჩემპიონატის შემდეგ. იქ ძლიერი კი არ იმარჯვებს, ფულიანები ზეიმობენ. ეს კი მოთამაშეებს ფსიქოლოგიურად თრგუნავს.

სერგეი კლეშჩენკო:

— თქვენებმა, იცით, რით გვაჯობეს? მათ გამარჯვების გაცილებით დიდი სურვილი ჰქონდათ. ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთი განწყობა არ აღმოგვაჩნდა, არ გვქონდა წინა ორი თამაშისგან განსხვავებით. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში მხოლოდ ამის წყალობით თუ გაჯობეთ. თანაც, გაითვალისწინეთ, თქვენების მონდომება ჩვენზე მეტ გამოცდილებასა და კლასთან რომ გაერთიანდა, შანსები მთლად შეგვიმცირდა.

**— თქვენ ფლანგზე გოგიჩაიშვილთან მოგიხდათ ბრძოლა, კარში კი სულ ერთხელ დაარტყით. გამოდის, რომ საქმე ვერ გააკეთეთ...**

— რა გითხრათ, თავი არ დამიზოგავს, ვიცოდი, გამარჯვების დიდი იმედი არც უნდა გვქონოდა, მაგრამ, ის მაინც მეგონა, რომ მეტს მოვახერხებდი. თქვენიანმა, ფაქტობრივად, ამომკეტა, დაცვაში მისი დამზღვევი ჩიხრაძეც მშვენივრად თამაშობდა, მე კი არავინ მეხმარებოდა. ასეთ ვითარებაში, აბა, რა უნდა მექნა? ამინდს ერთი კაცი ვერ შექმნის.

თავდამსხმელი ალექსანდრე სუხარევი, ვფიქრობთ, სტუმართაგან ყველაზე მეტ სიმპათიას იმსახურებდა. მთელი მატჩის მანძილზე არ გაჩერებულა, ბევრს მოძრაობდა და ყოველ წამს ზოიძის კარზე იყო დაგეშილი, თუმცა ტყუილად...

— თქვენებმა პირწმინდად გვაჯობეს. შემთხვევით მესამედ ველარ გაიმარჯვებ. წინა ორი შეხვედრის შედეგი კანონზომიერებისგან შორს იყო, ახლა კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჩვენზე ბევრად ძლიერმა ნაკრებმა გვაჯობა. მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება თქვენმა ნახევარდაცვამ დატოვა. ასეთი ტექნიკური მოთამაშეები ყველა მწვრთნელის ოცნებაა. ჩვენ კი ჯერ ნაკრები არ გვეთქმის, ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ საფეხბურთო ოჯახში, სადაც ყველამ გამართული სიარული იცის.

**— თქვენი აზრით, მოლდოვის დრო როდისმე დადგება?**

— დანია რომ ევროპის ჩემპიონი გახდებოდა, ოცი წლის წინ ვინმე წარმოიდგენდა? მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ, თუ მწვრთნელი გონივრულად იმუშავებს, ფეხბურთელებს მიზანს დაუსახავს და გუნდი ამ მიზანზე ყოველდღიურად იფიქრებს, დანიის შედეგის გამეორებაც შეიძლება. მანამდე კი ძალიან შორი გზაა...

**ქობა ინასარიძე,**
**მერაბ მამულაშვილი**

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

## ევროპა

### I ჯგუფი

### დანია 2:0 ბოსნია

**დანია:** შმაიხელი, ლაურსენი, რიპერი, ჰოგი, ჰაინცე (შიონბერგი 80), ჰელვეგი, ნილსენი, ტომსენი, დალ ტომასონი (ფრანდსენი 52), პედერსენი (მოლნარი 66), ბ. ლაუდრუპი

**ბოსნია:** დედიჩი, ზაბიჩი (მუსიჩი 71), ბესვხოვიჩი, კონჯიჩი (რამჩიჩი 17), კატანა, იბიჩი, გლავაში, ხალილოვიჩი, კოდრო (მუიჩინი 37), ბოლიჩი, ბალჯიჩი

**გოლი:** 1:0 რიპერი (67), 2:0 მოლნარი (90)

„მიხარია, ეს უძნელესი მატჩი რომ მოვიგეთ. დღეს ნაღდად გაგვიმართლა. სრულიად შესაძლებელი იყო, ამავე ანგარიშით წაგვეგო. მეტოქემ ბრწყინვალედ ითამაშა" — ასე შეაფასა მატჩი ბო იოჰანსონმა, ვინც 1993 წელს, მაშინ როგორც „კოპენჰაგენის" მწვრთნელი, თბილისის „დინამოსა" და „ლინფილდის" მატჩს დაესწრო. მართლაც, ბოსნია კერკეტი კაკალი გამოდგა. პირველ ნახევარში მათ უფრო მეტის შეგდება შეეძლოთ, ვიდრე მასპინძლებს, მაგრამ მეტოქეთა კარის დარაჯნი შეუდარებლად ირჯებოდნენ. ინგლისის ჩემპიონმა ტაიმის მიწურულს კოდროს და ბოლიჩს ისეთი დარტყმულები აუღო, 42 ათასი გულშემატკივრის მქუხარე ტაშიც დაიმსახურა. ბოსნია კი დედიჩს უნდა უმადლოდეს, პირველ ნახევარში კარი მშრალად რომ შეინახა. თამაშის განახლებას სტუმართა მასირებული იერიშები მოჰყვა. აქაც შმაიხელმა ოსტატობის დემონსტრირება მოახდინა. ათ წუთში დანიელებმა ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და გოლის გატანაც მოახერხეს: მასპინძელთა მორიგი შეტევა ზაბიჩმა კუთხურზე მოიგერია. შოტლანდიის საუკეთესო მოთამაშედ მეორედ შერაცხულმა ბრიან ლაუდრუპმა ბურთი ჰაინცეს დაუგორა, ამან კი რიპერს საგოლე პასი მისცა — დედიჩი მარკის თაურთან ვერას გახდა. თამაშს ისეთი პირი უჩანდა, ერთი გოლი უდიდესი უპირატესობა იყო, ამიტომ მასპინძლებმა ფრთხილი თამაში იწყეს და სტუმრებიც ერთობ შებოჭეს. მსაჯის წამატებულ დროში კი შეცვლაზე შესულმა, წარმოშობით უნგრელმა მიკლოშ მოლნარმა მეტოქის მცველს უყურადღებობა არ აპატია და ანგარიში გააორმაგა. მიუხედავად იმისა, რომ „ლუნგბიუს" მოთამაშე მოლნარი დანიის სუპერლიგის ბომბარდირია 25 გოლით, ბოსნიასთან მატჩში ნაკრებში პირველი ბურთი შეაგდო. მატჩის მერე ბოსნიელთა თავკაცმა ფუად მუზუროვიჩმა განაცხადა, დანია ძალზედ სახიფათოდ ასრულებდა სტანდარტულ სიტუაციებს, ჩვენ კი მხოლოდ გამოუცდელობის გამო წავაგეთო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| საბერძნეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 10 |
| ხორვატია | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | 9 |
| ბოსნია | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |
| სლოვენია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

### IV ჯგუფი

### ლატვია 1:3 ავსტრია

**ლატვია:** კარავაევი, ტროიცკი, ასტაფიევი, ზემლინსკი, შევლიაკოვი, სტეპანოვი, ივანოვი, პახარი, რიმკუსი (ელისეევი 59), ბაბიჩევი (ზაკრესევსკი 68), ბლიდელისი (შტოლცერი 64)

**ავსტრია:** კონსელი, ჩერნი (რამუში 85), შოტელი, პფესერი, ფაიერზინგერი, ჰერაფი, ვასტიჩი, კუბაუერი, პოლსტერი, ვეტელი (ჰფაიფენბერგერი 46), ჰერცოგი (შტიოგერი 75)

**გოლი:** 0:1 ჰერაფი (55), 0:2 პოლსტერი (81), 0:3 შტიოგერი (85), 1:3 ასტაფიევი (87)

ლატვიელები მშვენივრად თამაშობდნენ, გაცილებით გამოცდილ მეტოქეს ტოლს არ უდებდნენ, თუმცა 39-ე წუთზე მსაჯმა მარიან პახარი გასახდელში მიაბრძანა და მათი აწყობილი გუნდის დაშლაც დაიწყო. მართალია, მასპინძლებმა პირველ ნახევარში ასე თუ ისე გაძლეს, მაგრამ შესვენების შემდეგ სრულ კაპიტულაციას მოაწერეს ხელი. გოლმა სტუმრები დააწყნარა, თუმცა, ბოლო ათ წუთში ავსტრია მთელი ძალით ამოქმედდა — ჯერ ნაკრების და „კიოლნის" ვეტერანმა ტონი პოლსტერმა გაზარდა სხვაობა, მოგვიანებით კი 1994 წლის შემოდგომაზე უეფას თასზე ინსბრუკში „ტიროლის" შემადგენლობაში მყოფმა, ზოიძის კარის ორჯერ ამღებმა შტიოგერმა ანგარიში კიდევ უფრო გაზარდა, მაგრამ მასპინძელმა ასტაფიევმა ფლანგური გარღვევის მერე პრესტიჟის გოლი შეაგდო. თამაშის მერე მსაჯის არაობიექტურობით აღშფოთებული ლატვიელთა მწვრთნელი იანის გილისი თავს იმართლებდა, წაგება მთლიანად არბიტრის ბრალია, პახარი ტყუილად გაგვიგდოო.

### ესტონეთი 2:3 შვედეთი

**ესტონეთი:** პოომი, ლემსალუ, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, მეეტი, ლეეტმა (ვიკმაე 46), როობა (ჰარი 66), ოპერი, კრისტალი, რაემი, ზელინსკი

**შვედეთი:** ჰედმანი, ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი, სუნდგრენი, მილდი (ალექსანდერსონი 73), ზეტერბერგი, ა. ანდერსონი, ტერნი, დალინი (პეტერსონი 78), კ. ანდერსონი (იაკობსონი 85)

**გოლი:** 0:1 დალინი (13), 0:2 ზეტერბერგი (53 პ), 0:3 კ. ანდერსონი (73), 1:3 ოპერი (75), 2:3 კრისტალი (85)

შვედებმა სამი ქულა კი აიღეს, მაგრამ ბლომად ოფლიც ღვარეს. მათ საათსა და თხუთმეტ წუთში მოპოვებული სამბურთიანი უპირატესობა ბოლო წუთებში კინაღამ გაუშვეს ხელიდან. არადა, ზელინსკის რომ ევარგა, შესაძლოა, მასპინძლებს შოტლანდიის დარად შვედებიც გაემწარებინათ, მაგრამ ძლიერმა იმარჯვა. მიონხენგლადბახელმა მარტინ დალინმა ბრწყინვალედ ითამაშა და ინგლისის „დერბიში" მოთამაშე მარტინ პოომის კარი მე-13 წუთზე აიღო. შესვენებამდე ზეტერბერგსა და მილდს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ორივეს თაური მცირედით გადასცდა ხარიხას. მეორე ნახევარში კი 10 ათასამდე გულშემატკივარმა ოთხი გოლი იხილა — ჯერ იყო და ზეტერბერგმა პენალტი გოლად აქცია, მოგვიანებით კენეტ ანდერსონმა ლონივრად მოიქნია ფეხი და ბურთი ბადეში გაახვია. მერე კი ესტონელთა გასახარად, მათმა თანამემამულეებმა ორჯერ ივაჟკაცეს.

### ბელარუსი 0:1 შოტლანდია

**გოლი:** 0:1 მაკალისტერი (50 პ)

ჯგუფის აუტსაიდერმა ბელარუსმა მთელი მატჩი ძლიერად ჩაატარა, თითქმის უშეცდომოდ ითამაშა, თუმცა სქოთებს ერთხელ მიეცათ შეგდების შანსი, თან რა შანსი, და გამოიყენეს კიდეც — „ქოვენთრის" ნახევარმცველმა გარი მაკალისტერმა მასპინძლები დასაჯა „ჰიბერნიანის" ფორვარდის დარენ ჯექსონის საჯარიმოში წაქცევისთვის. ბელარუსს გასაყაიმებლად ბლომად დრო ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ სტუმართა მეკარე ჯიმ ლეიტონმა გოლი არა და არ გაუშვა. არადა, ეს სრულიად შესაძლებელი იყო. თამაშის მერე ერთადერთი გოლის ავტორმა, ევროპის ჩემპიონატზე პენალტის ვერგამტანმა მაკალისტერმა თქვა, დასარტყმელად რომ გავეშურე, დარწმუნებული ვიყავი, შევაგდებდიო. გამარჯვებულთა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა კი დიდი სიხარული ვერ დამალა: „ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და იმარჯვეს კიდეც. ლეიტონმა ბოლო წუთებში გვიხსნა. მისი თამაში გმირობის ტოლფასია. მასპინძელთათვის სწორედ იგია მთავარი დამნაშავე, გოლი რომ ვერ შეაგდეს. არა მგონია, შვედებმა და ავსტრიელებმა აქ იმარჯვონ. ბოლოს და ბოლოს, ხომ გახსოვთ, ბელარუსმა ჰოლანდიასაც სძლია".



ესტონეთი — შვედეთი. დალინი სულ ჩასაფრებულია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 9:2 | 17 |
| ავსტრია | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| შვედეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 12 |
| ლატვია | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 7 |
| ესტონეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:11 | 4 |
| ბელარუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |

### VI ჯგუფი

### ესპანეთი 1:0 ჩეხეთი

**ესპანეთი:** სუბისარეტა, ფერერი, ამავისკა (ამორი 75), ალკორტა, აბელარდო, იერო, მანხარინი (ურსაისი 56), კიკო (რიოსი 84), გვარდიოლა, რაული, ალფონსო

**ჩეხეთი:** სრნიჩეკი, ლატალი, რადა, ნედვედი, კადლეცი (ჰობორსკი 68), ჰორნაკი, ნემეცი, რეპკა, ჩიჟეკი (ფრიდეკი 63), შმიცერი, ვაგნერი (ზიგლი 73)

**გოლი:** 1:0 იერო (40 პ)

„უძნელესი მატჩი იყო. სეზონის ბოლოა. ფეხბურთელები ძლიერ გადაიღალნენ. მოკლედ, ეს უმნიშვნელოვანეს გამარჯვებად მიმაჩნია. მართალია, სანახაობრივად არცთუ საინტერესო გამოდგა, მაგრამ, ვფიქრობ, შედეგით გაიხარეს გულშემატკივრებმა". — განაცხადა მატჩის შემდეგ ხავიერ კლემენტემ. ესპანეთმა გააგრძელა დაუმარცხებელი სერია და აგერ უკვე 30-საც მიუკაკუნა. არადა, ვერავინ იტყვის, მათ ძლიერ გუნდებთან არ უთამაშიათო. ახლაც, ევროპის ვიცე-ჩემპიონებთან შეხვედრისას, მასპინძლებმა პრაგმატული ფეხბურთი ითამაშეს და საჭირო სამი ქულაც მოიპოვეს. გოლი იერომ მას მერე გაიტანა, სრნიჩეკმა ალფონსო რომ წააქცია. შესვენების შემდეგ ჩეხებმა იძალეს, თუმცა, მათ შორის აქტიური ლატალი ალკორტამ დროულად ამოკეტა. კლემენტემ მატჩის მერე თქვა, ლატალს დროულად მივხედეთ, თორემ ნათელი იყო, იგი კარგს არაფერს გვიქადდაო.



ესპანეთი — ჩეხეთი. რაული ლატალს გაურბის

### ფარერები 2:1 მალტა

**გოლი:** 1:0 არგი (6), 2:0 იონსონი (41), 2:1 აგიუსი (37 პ)

მასპინძლებმა მეორედ დაამარცხეს მალტა, რითაც თავის ისტორიაში ყველაზე მაღლა, ჯგუფში მეხუთე ადგილზე ალზევდნენ და ევროპის ვიცე-ჩემპიონ ჩეხებსაც კი გადაასწრეს. მეორე ტაიმში მეტოქეებმა თითო კაცი მოისაკლისეს, მაგრამ, მასპინძელთაგან განსხვავებით, მალტელები ათნი მხოლოდ 82-ე წუთზე დარჩნენ.

### იუგოსლავია 2:0 სლოვაკეთი

**გოლი:** 1:0 სავიჩევიჩი (17), 2:0 მიატოვიჩი (75)

მასპინძლებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს და საკადრისი სამი ქულაც მოიპოვეს. სტუმრებს გოლის შეგდების ერთადერთი რეალური შანსი 36-ე წუთზე მიეცათ, მაგრამ კრალმა ვერ ივარგა. მანამდე ანგარიში უკვე 1:0 იყო. პირველი გოლი აპენინური გამოდგა: იუვენტუსელმა იუგოვიჩმა მილანელ სავიჩევიჩს საგოლე პასი მისცა, მან კი ანგარიში გახსნა. ტაიმის მიწურულამდე სლოვაკები მაიტოვიჩს ორჯერ გადაურჩნენ, მაგრამ პრედრაგმა მესამე სახიფათო იერიში გოლით დაასრულა: 75-ე წუთზე მიხაილოვიჩის პასით შესარჩევ ტურნირში მეექვსე გოლი შეაგდო. ბოლო წამებზე სლოვაკთა წამოწყებული შეტევა მასპინძლებმა ჩაჭრეს და სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, თუმცა, დამაგვირგვინებელ ფაზაში არაზუსტად ითამაშეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:4 | 20 |
| იუგოსლავია | 8 | 6 | 1 | 1 | 23:6 | 19 |
| სლოვაკეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 14:7 | 12 |
| ფარერები | 7 | 2 | 0 | 5 | 9:24 | 6 |
| ჩეხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:4 | 4 |
| მალტა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:31 | 0 |

### III ჯგუფი

### უნგრეთი 1:1 ნორვეგია

**უნგრეთი:** ბაბოში, კუტორი, ბანფი, ნადი (შლეზაკი 60), ლორინცი, ჰალმაი, დომბი, ფარკაშაზი, ოროში (დრაგონერი 86), შანდორი (ნილაში 80), კოვაჩი

**ნორვეგია:** გროდასი, ჰაალანდი, იონსენი, ბერგი, ბიორნებიე, სტრანდლი, მიუკლანდი (ჯ. ფლო 67), ლეონარდსენი (სოლბაკენი 76), ტ. ფლო (ოსტენსტადი 81), რეკდალი, რუდი

**გოლი:** 0:1 რუდი (8), 1:1 კოვაჩი (22)

პირველსავე წუთზე ტორე ფლო ბაბოშთან პირისპირ დარჩა, თუმცა, მაინცდამაინც მეკარეს დაუმიზნა. ორ წუთში ნორბერტ ნადი გავიდა ინგლისის თასის მფლობელ გროდასთან ერთი-ერთზე, მაგრამ მანაც ვერ გამოიყენა მომენტი. ამგვარი ელვისებური მოვლენებით დაიწყო მეტად ლამაზი თამაში, რომელშიც კრიზისში მყოფმა უნგრელებმა თავიანთი საუკეთესო წლების დარად ითამაშეს და ერთი კვირის წინ ბრაზილიელთა 4:2 მძლეველი ნორვეგია აშკარად დაჩაგრეს. პირველ ხუთ წუთში შექმნილი მომენტები მალე გოლით დაგვირგვინდა. შარშან თბილისში უეფას თასზე დამარცხებული „მიოლდეს" კაპიტანმა პიტერ რუდიმ ნაკრებში ზედიზედ მეორე თამაშში შეაგდო გოლი — მან ბაბოშის მიერ მოგერიებულ დარტყმულ ჯარიმას დაამატა. გოლმა არათუ დააბნია მასპინძლები, პირიქით, უფრო შეკრა და მათაც ოლსენის ბიჭებს ერთი-ორჯერ მწარედ უკბინეს. კოვაჩის გოლამდე მასპინძელთაგან საუკეთესო — ემილ ლორინცის დარტყმა მცირედით ასცდა გროდასის კარს. მალე კი მასპინძლებმა გაათანაბრეს — ზოლტან კოვაჩმა ლორინცისგან დროულად მიიღო პასი და გროდასის კარში გაგზავნა. დარჩენილ დროში ზემოთნახსენები ორი უნგრელის დარად შანდორიც და დომბიც მეტად სახიფათოდ ამოქმედდნენ და სკანდინაველ პრემიერლიგელთა გუნდი (რვა ნორვეგიელი ინგლისის ჩემპიონატში თამაშობს) დააწიოკეს. მეორე ტაიმის მე-10 წუთზე კი ბაბოშმა განსაკუთრებით იყოჩაღა — სტრანდლს ორჯერ აუღო უძლიერესი დარტყმა. შემდეგ თამაშის მნიშვნელოვანი ეპიზოდის ავტორი ჰაალანდი გახდა. იგი 40 მეტრიდან შეეცადა კარის აღებას, მაგრამ ბაბოშმა კვლავ აიღო. მატჩის მერე სტუმართა თავკაცი ეგილ ოლსენი გახარებული ამბობდა, ბედი ჩვენ გვქონია, ასეთი მატჩი ფრედ რომ დავასრულეთო: „უნგრეთმა გამაოცა. მათგან ასეთ თამაშს არ მოველოდი. ეტყობა, მასპინძლები კრიზისიდან გამოდიან, რადგან მათი პროგრესი აშკარაა" — განაცხადა ოლსენმა. მისმა კოლეგამ იანოშ ცანკმა კი თქვა, პირველი ტაიმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა მოგვეგო, თუმცა, არც ფრეა ურიგოო.

### ფინეთი 3:0 აზერბაიჯანი

**გოლი:** 1:0 ვაჰნალა (59), 2:0 ლიტმანენი (63), 3:0 სუმიალა (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 3 | 2 | 0 | 11:2 | 11 |
| ფინეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| აზერბაიჯანი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:13 | 3 |



უკრაინა — გერმანია: იურგენ კლინსმანი მასპინძლებს, კერძოდ კი იური დმიტრილინს, სათანადოდ ჰყავდათ ამოკეტილი.

### IX ჯგუფი

### პორტუგალია 2:0 ალბანეთი

**პორტუგალია:** ბაია, ნელსონი, პაულინიუ სანტუში, ჟორჟე კოშტა, ფერნანდო კოუტუ, პაულო სოუზა, ფიგუ (კადეტე 87), ჟოაო პინტუ (გომეში 87), დომინგუში (ბარბოზა 20), დანი, კონსეისაო

**ალბანეთი:** მალისამი, შდუზა (ტოლე 76), შულკუ, ჯუმბა, ვატა, კაჩაი, აბაზი, ბუში, ტარე, პაჯი, ზალა (ვილა 46)

**გოლი:** 1:0 ჟოაო პინტუ (14), 2:0 ფიგუ (71)

მასპინძლები სათანადოდ გაისარჯნენ და იმარჯვეს, თუმცა მათმა მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ დაიწუწუნა, უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგოო. ორივე გოლის ავტორმა, აგრეთვე დანიმ, კონსეისაომ და ბარბოზამ ბლომად მომენტები ვერ გამოიყენეს, თორემ ანგარიში მართლაც რომ გამანადგურებელი იქნებოდა. გოლები კი, პინტუმ კონსეისაოს, ფიგუმ კი პაულო სოუზას პასით გაიტანეს.

### უკრაინა 0:0 გერმანია

უკრაინელთა ბრწყინვალედ შეთამაშებულმა ნაკრებმა გასაქანი არ მისცა კლინსმან-კირსტენის წყვილს და მათაც დიდი ვერაფერი ხიფათი შექმნეს მასპინძელთა კართან. ის კი არა, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე რებროვმა დაახლოებით 16 მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა. კლინსმანის იშვიათი სახიფათო შეტევა, კერძოდ კი თაური, შავკოვსკიმ მოიგერია. მეკარემ ჰელმერის შორეული დარტყმაც აიღო, მთლიანად კი დიდი წვლილი შეიტანა უტიტულოვანეს ნაკრებთან ღირსეულ თამაშში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 8 | 4 | 2 | 2 | 7:6 | 14 |
| გერმანია | 6 | 3 | 3 | 0 | 11:4 | 12 |
| პორტუგალია | 7 | 3 | 3 | 1 | 7:2 | 12 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 4 | 2 | 5:5 | 7 |
| სომხეთი | 6 | 0 | 5 | 1 | 4:8 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | 1 |

ტურისტული ფირმა ჯორჯიან ტურისტ სერვისი
გთავაზობთ დასვენებას
ანტალიაში (კემერის მხარე)
პირდაპირი ავიარეისით
თბილისი-ანტალია-თბილისი
ფასები მისაწვდომია — 575 ლარი და ზემოთ
დაგვირეკეთ: 38 54 12
ქ. შარტავას 7, შრომის სასახლის შენობა, II სართული

## V ჯგუფი

### ბულგარეთი 4:0 ლუქსემბურგი

**გოლი: 1:0 სტოიჩკოვი (43 პ), 2:0 კოსტადინოვი (47), 3:0 ბალაკოვი (50 პ), 4:0 ლეჩკოვი (81)**

მშობლიურ ნაკრებში დაბრუნება „უძღებმა შვილმა" — ხრისტო სტოიჩკოვმა გოლით აღნიშნა. დასაწყისშივე მასპინძელთა აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა. შესვენებამდე ორი წუთით ადრე ლუქსემბურგელმა მცველებმა ბურთის გატანის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი „ფენერბაჰჩეს" ფორვარდი ემილ კოსტადინოვი საჯარიმოში წააქციეს და პენალტიც მიიღეს — ხრისტოს დარტყმა უზუსტესი გამოდგა. თამაშის განახლების შემდეგ კი სტუმართა მეკარეს, პოლ კოხის ცუდი დღე დაადგა — ჯერ იყო და მას კოსტადინოვის გატანილი ბურთის გამოტანა მოუხდა, მერე კი თანაგუნდელებმა დაალალატეს, როცა პენევი მათი უხეშობით საჯარიმოში დაეცა. კახის დუელი ამჯერად ბალაკოვთან ისევ მასპინძლის გამარჯვებით დასრულდა. თამაშის მიწურულს კი ბულგარელთა მეოთხე ვარსკვლავმა, შეცვლაზე შესულმა იორდან ლეჩკოვმა სტოიჩკოვის პასით იხეირა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

### რუსეთი 2:0 ისრაელი

**გოლი: 1:0 რადიმოვი (8), 2:0 კასალაპოვი (38)**

ბორის იგნატიევის გუნდმა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა. ისრაელში ეს გუნდები 1:1 დაზავდნენ. ამჯერად კი უკვე მე-8 წუთზე „სარაგოსას" ვლადისლავ რადიმოვმა გახსნა ანგარიში. სტუმრებს, ცხადი იყო, წვიმაში თამაში უჭირდათ, თუმცა მათაც ჰქონდათ რამდენიმე საგოლე მომენტი, მაგრამ ოვჩინიკოვი საიმედოდ ირჯებოდა. ტაიმის მიწურულს იანოვსკი მარცხენა ფლანგზე გავიდა, იქიდან ჩაწოდებული კი კასალაპოვმა პირდაპირ კარში გაგზავნა. მეორე ტაიმში თამაში უინტერესო გამოდგა. მეტოქეები ბურთს ცენტრში აგორებდნენ და ხანდახან თუ მოიფიქრებდნენ შეტევის დაწყებას. თამაშის მერე დამარცხებულ ებრაელთა თავკაცმა რაფი კოენმა თქვა, საფრანგეთში წასვლის შანსი კიდევ გვაქვს, თუ, რა თქმა უნდა, ბულგარეთს სტუმრად ვაჯობებთო. იგნატიევმა კი განაცხადა, რომ რუსებმა მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეს და ბულგარელებთან თავიანთი ძალ-ღონის დემონსტრირებას შეეცდებიან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:2 | 14 |
| ისრაელი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:6 | 13 |
| ბულგარეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 12 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:17 | 0 |

## VII ჯგუფი

### ბელგია 6:0 სან მარინო

**გოლი: 1:0, 6:0 სტალენსი (16, 85), 2:0 მეირი (26), 3:0, 5:0 მპენზა (27, 45), 4:0 ოლივეირა (33)**

მასპინძლებმა პაწაწკინტელა ქვეყნის შვილებს პირველ ტაიმში ფეხბურთის პრაქტიკული გაკვეთილი ჩაუტარეს, მეორეში კი უფრო თეორიაზე გადავიდნენ: პირველ ნახევარში შეგდებული ხუთი უპასუხო გოლის მერე მეორე ტაიმში დასვენება გადაწყვიტეს. ერთადერთხელ ლორენცო სტალენსმა გამოიდო თავი და კიდეც მიაღწია მიზანს. მატჩის მერე ერთ-ერთმა „წითელმა ეშმაკუნამ", ვეტერანმა ფრენკი ვან დერ ელსტმა თქვა, დღეს ნათლად გამოჩნდა ჩვენი გუნდის სიძლიერე და ახლა ჯგუფში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო. მანვე აღნიშნა, რომ პირველ ნახევარში მასპინძლებს 8:0, სულაც 9:0 მოგება შეეძლოთ, მაგრამ მეორე ტაიმისთვის გადადეს, შესვენების მერე კი რიტმს ველარ დაუბრუნდნენ და ამიტომ მხოლოდ ერთი გოლიღა იკმარეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 5 | 0 | 1 | 23:3 | 15 |
| ბელგია | 6 | 5 | 0 | 1 | 16:6 | 15 |
| თურქეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:5 | 7 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 14:12 | 7 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0:37 | 0 |

## VIII ჯგუფი

### მაკედონია 1:0 ისლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 20:0 | 18 |
| მაკედონია | 7 | 4 | 1 | 2 | 19:10 | 13 |
| ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 15:4 | 10 |
| ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 9 |
| ისლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 1:8 | 1 |
| ლიხტენშტაინი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:36 | 0 |

## სამხრეთ ამერიკა

### არგენტინა 2:0 პერუ

**გოლი: 1:0 კრესპო, 2:0 სიმეონე**

არგენტინა ამ შაბათ-კვირას სამხრეთ ამერიკის ერთადერთი ნაკრები აღმოჩნდა, რომელმაც შესარჩევი მატჩი მოიგო. პასარელას ბიჭებს ერთობ გაუმართლათ: მათმა მთავარმა კონკურენტებმა, და არა მარტო მათ, ფრე ითამაშეს. პასარელამ ბატისტუტას არმიწვევით თამაშის წინ გულშემატკივართა კრიტიკა დაიტეხა თავს. ეს მეტად უხეში თამაშიც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად წარიმართა და მასპინძლების გასახარად, მათი გამარჯვებით დასრულდა. არადა, ფრე უფრო უპრიანი იქნებოდა. პერუმ მეტოქეს აწყობილი დაცვა დაუპირისპირა, მაგრამ ხელი მაინც ვერ შეუშალა პარმელ ერნან კრესპოს და მადრიდის ატლეტიკოელ დიეგო სიმეონეს. სწორედ იმ ლეგიონერთა გოლებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი, რომელთა შესახებაც არგენტინული პრესა წერდა, მათ პასარელასთან კონფლიქტი მოუვიდათ და არაა გამორიცხული, ორივემ ნაკრებს უგანოსო. მეორე ტაიმში არგენტინელმა არიელ ორტეგამ მძიმე ტრავმა მიიღო და ნაადრევად დატოვა მინდორი, ბრაზილიელმა არბიტრმა კი დამნაშავე პერუელს სიტყვიერი გაფრთხილება აკმარა.

### ეკვადორი 1:1 ჩილე

**გოლი: 1:0 გრაციანი (44), 1:1 სალასი (54)**

სტუმრებს დისკვალიფიცირებული ივან სამორანო აკლდათ, თუმცა ქულა მოიპოვეს და ახლა დარჩენილი ექვსი მატჩიდან ხუთის სამასპინძლოდ იმედიანად ემზადებიან. მანამდე კი ამ შეხვედრაში ჩილელებს ქულისთვის ბრძოლამ მოუწიათ. წარმოშობით არგენტინელმა არიელ გრაციანიმ ეკვადორი კი დააწინაურა, მაგრამ ჩილელებმა მედგრად იბრძოლეს და მალე „რივერ პლეიტის" მარსელო სალასმა ბრწყინვალე თაურით გააყაიმა. ამან მატჩის მერე თქვა: ჩილემ ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატზე როცა ითამაშა, ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი. ახლა მე მსურს ოცნების ასრულება და ამისთვის დარჩენილ ექვს მატჩში თავს არ დავზოგავო.



არგენტინა — პერუ. ერნან კრესპო პირველ გოლს ხარობს

### ურუგვაი 1:1 კოლუმბია

**გოლი: 1:0 დარიო სილვა (7), 1:1 რიკარდო (47)**

ურუგვაიმ მორიგი ორი საშინაო ქულა დაკარგა, რითაც საფრანგეთში მოხვედრის შანსი ერთობ შეუმცირდა, კოლუმბიამ კი ზედიზედ სამი წაგებისგან შემდგარი უღიმღამო სერია შეწყვიტა. მატჩს 50 ათასი მაყურებელი დაესწრო, თუმცა თამაში უინტერესო გამოდგა. ურუგვაელმა დარიო სილვამ უძლიერესი დარტყმით ულამაზესი გოლი შეაგდო, რომელიც შესვენებიდან წუთნახევარში დისკვალიფიცირებული ასპრილიას ნაცვლად მოთამაშე რიკარდომ გაქვითა.

### ვენესუელა 1:1 ბოლივია

**გოლი: 1:0 სავარეზე (63), 1:1 რ. კასტილიო (73 პ)**

ჩილეს დარად, ვენესუელაში ბოლივიამაც წაიფორხილა და ყველასთვის მოულოდნელად დაკარგა ორი ქულა. აქამდე მეტოქეთა შორის გამართული 10 მატჩში მხოლოდ ერთხელ დაფიქსირდა ფრე, დანარჩენი კი ბოლივიამ მოიგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 10 | 7 | 2 | 1 | 15:6 | 23 |
| არგენტინა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:10 | 19 |
| კოლუმბია | 11 | 5 | 3 | 3 | 16:10 | 18 |
| ბოლივია | 10 | 3 | 5 | 2 | 15:10 | 14 |
| ეკვადორი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:13 | 14 |
| ურუგვაი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:15 | 14 |
| ჩილე | 10 | 3 | 4 | 3 | 18:13 | 13 |
| პერუ | 11 | 3 | 4 | 4 | 11:14 | 13 |
| ვენესუელა | 11 | 0 | 2 | 9 | 7:33 | 2 |

## 2+3=5

### I ჯგუფი

**ნიგერია 3:0 კენია**

**გვინეა 3:1 ბურკინა ფასო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიგერია | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| გვინეა | 5 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 9 |
| კენია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| ბურკინა ფასო | 5 | 0 | 0 | 5 | 5:13 | 0 |

### II ჯგუფი

**ლიბერია 1:2 ნამიბია**

**ეგვიპტე 0:0 ტუნისი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| ეგვიპტე | 5 | 2 | 1 | 2 | 10:5 | 7 |
| ლიბერია | 5 | 1 | 1 | 3 | 2:5 | 4 |
| ნამიბია | 5 | 1 | 1 | 3 | 6:13 | 4 |

### III ჯგუფი

**სამხრეთი აფრიკა 3:0 ზამბია**

**კონგო 1:0 ზაირი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხრ. აფრიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| კონგო | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ზამბია | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ზაირი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:7 | 2 |

### IV ჯგუფი

**ანგოლა 1:1 კამერუნი**

**ტოგო 2:1 ზიმბაბვე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ანგოლა | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 9 |
| ზიმბაბვე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:5 | 4 |
| ტოგო | 5 | 1 | 0 | 4 | 5:13 | 3 |

### V ჯგუფი

**მაროკო 1:0 განა**

**გაბონი — სიერა ლეონე გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| განა | 5 | 1 | 3 | 1 | 7:5 | 6 |
| სიერა ლეონე | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | 4 |
| გაბონი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

შავ კონტინენტზე უქმეებზე გამართულმა შესარჩევმა შეხვედრებმა მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე კიდევ სამი ქვეყანა გამოავლინა: ტურნირის მასპინძელ საფრანგეთს და 1994 წლის ჩემპიონ ბრაზილიას სამი აფრიკული გუნდი დაემატა. სულ აფრიკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთი ადგილი აქვს გამოყოფილი. აქედან სამი ნიგერიამ, ტუნისმა და მაროკომ დაიბევეს. ამ უკანასკნელმა შინ 1:0 მოუგო განას, შესარჩევ ჯგუფში ნაადრევად იმარჯვა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედ გასული პირველი აფრიკული ქვეყანა გახდა. მაროკოელთა ფრანგმა მწვრთნელმა ანრი მიშელმა, რომელიც 1998 წელს მექსიკაში საფრანგეთს ხელმძღვანელობდა, ხოლო 1994-ში კამერუნს, განასთან მოგების შემდეგ განაცხადა, ყველანაირად ვეცდებით ჩემს სამშობლოში თავი არ შევირცხვინოთო. თან თანამემამულეთა გასაგონად დასძინა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში საფრანგეთს ვუგულშემატკივრებთ, მაგრამ ხანდახან ჩვენც დაგვეჭირეთ მხარიო. აქამდე მაროკომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებზე 1970, 1988 და 1994 წლებში იასპარეზა. მაროკოსგან განსხვავებით, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — ნიგერიის „სუპერ არწივებმა" შინ 3:0 გაანადგურეს კენია და ზედიზედ მეორედ მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე. პირველი გოლი კენიელებს ოლისემ შეუგდო, მეორე — ამუნიკემ, სტუმართა საბოლოო განადგურება კი ოკოჩამ ითავა. მესამე ფინალისტმა ტუნისმა საჭირო ქულა აიღო კაიროში ეგვიპტესთან და საფრანგეთის საგზური გაინაღდა. 1994 წელს საქართველოსგან 2:0 ძლეული ტუნისელები მსოფლიოს ჩემპიონატზე 1978 წლის შემდეგ მეორედ ითამაშებენ. დანარჩენი ორი საგზურისთვის მესამე ჯგუფელი სამხრეთ აფრიკა და მეოთხეჯგუფელები — კამერუნი და ანგოლა იბრძვიან. აფრიკის ჩემპიონებმა ზამბიას სძლიეს 3:0 და ახლა ჯგუფში გასამარჯვებლად კონგოსთან შინ დარჩენილ შეხვედრაში ფრეც ხელს აძლევთ. მეოთხე ჯგუფში კამერუნს ანგოლასთან გამარჯვების შემთხვევაში განაღდებული ექნებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, მაგრამ კამერუნელი მბომას გოლი მასპინძელ ანგოლელთა ამომავალმა ვარსკვლავმა აკვამ გაქვითა ზუსტად 55 წამში (!). შაბათ-კვირას გამართული შეხვედრებიდან ყურადღებას კიდევ ორი იმსახურებს: ნამიბიამ და ტოგომ ისტორიაში პირველად იმარჯვეს შესარჩევ ტურნირებში: ტოგომ შინ 2:1 სძლია ზიმბაბვეს, ნამიბიამ კი სტუმრად იმავე ანგარიშით მოუგო ჟორჟ ვეას ლიბერიას. გვინეასთან 1:2 დამარცხებული ბურკინა ფასო კი ერთადერთ გუნდად რჩება კონტინენტზე, რომელსაც შესარჩევ ტურნირში ქულაც არ მოუპოვებია.

# სასწაული ლიონში... ინგლისელთა სასარგებლოდ



დელ პიერომ ორი გაიტანა, მაგრამ...

### საფრანგეთი 0:1 ინგლისი

**საფრანგეთი: ბარტეზი, ლეილი (ლისარასუ 83), ბლანი, ტურამი, ნგოტი, ვიეირა, დეშამპი, დეგარი (ზიდანი 75), უედეკი (ლოკო 63), კელერი, ჯორკაეფი**

**ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, საუთგეიტი, ლე სო, კემბელი, ფ. ნევილი, ბექჰემი (ლი 75), ბეტი (ინსი 46), გესკოინი, შირერი, რაიტი (შერინგემი 80)**

**გოლი: 0:1 შირერი (86)**

„თუ გუნდში შირერი გყავთ, გამარჯვების იმედს ნურასდროს დაკარგავთ. იგი ბრწყინვალე თავდამსხმელია. მიეცი ბურთი და გოლს გაიტანს" — ასე დაახასიათა გახარებულმა ჰოდლმა ფორვარდი, რომელმაც ნაკრებს ზედიზედ მეექვსე მატჩი მოაგებინა და თუ დღეს ინგლისელები ბრაზილიასაც დაჯაბნიან, მაშინ 1966 წლის რეკორდს გაიმეორებენ — მსოფლიოს ჩემპიონად აღზევების წელს ინგლისელებმა ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგეს. ეს გამოდგა მერვე გასვლითი მატჩი, რომელშიც ინგლისელებს გოლი არ გაუშვიათ. ისე კი, ბოლოს, სტუმრად, 1993 წელს მათი კარი სანმარინოელმა ფეხბურთელმა დალაშქრა. მაშინ ინგლისმა 7:1 მოიგო.

### იტალია 3:3 ბრაზილია

**იტალია: პალიუკა, კოსტაკურტა, პანუჩი, კანავარო, მალდინი (დი ლივიო 87), დი მატეო, ლომბარდო, ალბერტინი, დ. ბაჯო (ფუზერი 46), დელ პიერო, ვიერი (ინძაგი 60)**

**ბრაზილია: ტაფარელი, კაფუ, სელიო სილვა, ალდაირი, კარლოსი, დუნგა, მაურო სილვა (კონსეისაო 63), ლეონარდო, დენილსონი, რონალდო, რომარიო**

**გოლი: დელ პიერო (7, 62 პ), ალდაირი (24 საკ. კარში), რობერტო კარლოსი (35), 3:2 რონალდო (71), 3:3 რომარიო (84)**

#### საფრანგეთის ოთხთა ტურნირი

ეს იყო ბრწყინვალე მატჩი, რომლის დარი კარგა ხანი არავის უნახავს. ტურნირის პირველ შეხვედრასთან შედარებით სახენაცვალმა იტალიამ და თითქმის იგივე ბრაზილიამ (ფრანგებთან მატჩის მერე ერთი ცვლილება იყო: დენილსონი ჯოვანის ნაცვლად) სრულად და საუცხოოდ წარმოაჩინეს მათთვის ჩვეული თამაშის ყაიდა, რითაც უამრავ ქომაგს განაცდევინეს ის სიხარული, რომელსაც მუდამ ელიან ფეხბურთისგან, მაგრამ ძალზე იშვიათად იღებენ მას. ამ მატჩმა მთელი სისავსით გამოაჩინა მეტოქეთა ოსტატობის უმაღლესი დონე, რომლის მიღწევაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ორივე მხარემ გასამარჯვებლად თამაშის სისხლხორცეული ნირით ბრძოლა ირჩია და მიუხედავად ზავისა და ტურნირში გამარჯვების შესაძლებლობის დაკარგვისა, ეს შეხვედრა საუკეთესო იყო არა მარტო ამ ტურნირზე.

მატჩი იტალიელთა უპირატესობით დაიწყო და ამ უპირატესობას მალე გოლიც მოჰყვა: იტალიელებმა რონალდოს მოედნის ცენტრში აართვეს ბურთი, შეტევა ვიერიმ საჯარიმოში ჩაწოდებით გააგრძელა, იქ კი ჩია დელ პიერომ ჯანიან ალდაირსა და ტაფარელს აჯობა და ანგარიშიც გახსნა. 25-ე წუთზე, ჯარიმისას, ალბერტინის დარტყმული ბურთი ალდაირს თავში მოხვდა და 2:0. მეკარე არც განძრეულა. „სკუადრა აძურას" ორბურთიანი უპირატესობა მხოლოდ ათ წუთს გაგრძელდა, მერე კი ბრაზილიელებმა უპირატესობაც იგდეს ხელთ და ამას გოლიც მოაყოლეს — კუთხური გაითამაშეს, რობერტო კარლოსმა ცაცხით უძლიერესად დაარტყა, ლომბარდომ კი, უნებურად, პალიუკას ბურთის მოგერიებაში ხელი შეუშალა. შესვენების მერე მალდინიმ, ვიერის რომ დაღლა შეატყო, მოედანზე სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი ფილიპო ინძაგი შეუშვა. სწორედ ამის გარჯას მოჰყვა პენალტი ტაფარელის კარში — ფილიპოს ალდაირი ეუხეშა, დელ პიერომ კი უძლიერესი, აუღებელი დარტყმით თანაბრობა აღადგინა. აქ კი დაფაცურდნენ ბრაზილიელები. განსაკუთრებით გამოსარჩევია ნაკრებში სულ რაღაც მეოთხედ მოთამაშე დენილსონი, რომელმაც ექვს წუთში ორი ბრწყინვალე რეიდი განახორციელა იტალიელთა საჯარიმოში, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილი სადღაც, უკიდეგანო სივრცეში ურტყამდა. მალე პალიუკამ დუნგას დარტყმული უკუაგდო. ერთ წუთში კი ბრაზილიელებს მეტოქის სახიფათო კონტრშეტევა გაეპარათ და კინაღამ დაისაჯნენ: ინძაგის მოწოდებული ბურთი დელ პიერომ ერთი შეხებით თავზე გადაატარა ორ მცველს და ფილიპოსვე ბრწყინვალე მომენტი შეუქმნა, მაგრამ ტაფარელმა მიმართულება გამოიცნო. ბრაზილიელთა გამძაფრებულ შეტევებს შეუძლებელი იყო, გოლი არ მოჰყოლოდა და ასეც მოხდა: საჯარიმოში შეჭრილი რონალდო ორ მცველს გასცდა, კანავაროც ტექნიკურად ჩამოიშორა და სხვაობა შემცირდა. ამის მერე რობერტო კარლოსმა უძლიერესადაც დაარტყა, მაგრამ ბურთი პალიუკას ნაცვლად ხარიხამ მოიგერია. იტალიელებმა მდგომარეობა კი განმუხტეს, მაგრამ დროებით: საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე რონალდოს შეტევის მოგერიებისას მცველები აირივნენ, რონალდომ კი კარისკენ დაძრული რომარიო შენიშნა, პასი არ დაუხანა და მსოფლიოს ჩემპიონსაც რაღა შეეშლებოდა: მეკარეც ჩამოიშორა და ბურთიც კარში შეაგორა.

მატჩის მერე ზაგალომ განაცხადა, ამ მატჩში, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში, ფეხბურთის სილამაზე სრულად წარმოჩინდაო: „ნათლად დავინახეთ, რა ძლიერი გუნდია იტალია და რისი უნარი შესწევს. მათი დაცვა დღესაც საუკეთესოა მსოფლიოში — ამ ბოლო ხანს ბევრ მეტოქეს შევხვდით, მაგრამ რომარიოს და რონალდოს ასე რომ გასჭირვებოდეთ, ჯერ არ მინახავს." მწვრთნელის მერე რონალდომ თქვა, მართლაც რომ მშვენიერი მატჩი იყოო: „იტალიელი მცველები ესპანელებზე გაცილებით ძლიერნი არიან, მათთან ნაღდად გამიჭირდა. მიხარია, რომ ფრედ დასრულდა მატჩი, რომლის წაგება სანანებლად დამირჩებოდა". ჩეზარე მალდინის აზრითაც, მატჩი მშვენიერი იყო და იგი თავისიანებით ერთობ კმაყოფილია: „ორივე მხარემ ყველაფერი გაიღო, ამიტომაც გამოვიდა ასეთი ლამაზი მატჩი. არ მოველოდი ინძაგის ასეთ ძლიერ თამაშს. მისით კმაყოფილი დავრჩი. ახლა ფრანგებთან დაგვრჩა სათამაშო. ვეცდებით, ბოლო ადგილზე არ გავიდეთ." მწვრთნელის მერე დელ პიერომ თქვა, 3:1 რომ გახდა, ვიფიქრე, მოვიგეთ და ეგაა მეთქი, მაგრამ მეტოქემ წაგება არ ისურვა, ჩვენ კი, ვგონებ, თავდაჯერებამ და მიღწეულმა უპირატესობამ დათვური სამსახური გაგვიწიაო.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ბრაზილია | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

# ცოცხალთაგან უხუცესი

## კოპა ამერიკა ხვალ იწყება

ხვალ ბოლივიაში დაიწყება ეროვნულ გუნდთა ტურნირი, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შემორჩენილთაგან უძველესია — სამხრეთ ამერიკის 39-ე ჩემპიონატი, იგივე „კოპა ამერიკა", რომელიც 1910 წლიდან, ოფიციალურად კი 1917 წლიდან იმართება. 1984 წლამდე უხუცეს ტურნირად ბრიტანეთის ჩემპიონატი ითვლებოდა, მაგრამ ეს წელი ბოლო აღმოჩნდა ამ ტურნირის ისტორიაში.

წლევანდელ „კოპა ამერიკაზე" სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის წევრი ათივე ქვეყანა და, 1993 და 1995 წლების ტურნირების მსგავსად, ორი „უცხოც" ითამაშებს — მექსიკა მესამედ, კოსტარიკა კი პირველად. მექსიკელები სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში საკმაოდ კარგად თამაშობენ — 1993-ს ფინალში წააგეს არგენტინასთან, 1995-ს კი მესამეზე გავიდნენ. ისე, ჩემპიონატის თაოსნებმა „კოპა ამერიკაზე" არასამხრეთამერიკელთა მიწვევა 1993 წლიდან დაიწყეს, რათა 12 მონაწილისგან სამი 4-გუნდიანი ჯგუფი შეექმნათ და ნაკრებებს ტოლი რაოდენობის თამაშები ჩაეტარებინათ. ამერიკის კონტინენტის გუნდებს ვინდა ჩივის, როცა 1995 წელს კონფედერაციის მამებმა „კოპა ამერიკაზე" ჯერ ესპანეთი, მოგვიანებით კი იტალია დაპატიჟეს, თუმცა მერე ეს უცნაური გადაწყვეტილება თავადვე უარყვეს და ტურნირის პრესტიჟი აღარ შელახეს.

საუკუნის დასაწყისში, კონტინენტის პირველობამდე, იმ ხანად ფეხბურთში ყველაზე კარგად გარკვეულნი — ურუგვაი და არგენტინა — ერთმანეთს ლიპტონისა და ნიუტონის თასებისთვის ეჯიბრებოდნენ, თუმცა 1909 წელს არგენტინასა და ჩილეს შორის გახსნილმა „ტრანს-ანდენის" რკინიგზამ არგენტინელებს ტურნირის ჩატარება აფიქრებინა, რაც ნოვატორებმა მალე, წელიწადში რეალობად აქციეს და 1910 წელს არგენტინამ ურუგვაი, ბრაზილია და ჩილე მიიპატიჟა — სამხრეთ ამერიკაში უძლიერესი გავარკვიოთო. ნაწვევთაგან არგენტინაში ჩასვლა მხოლოდ ბრაზილიამ ვერ შეძლო და გაზაფხულ-ზაფხულის შესაყარზე სამთა ბურთაობაც გაჩაღდა.

1910 წლის 29 მაისი ფეხბურთის ისტორიაში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის დაბადების დღედ შევიდა. ამ დღეს ბუენოს-აირესში, „ხიმნასია კლუბის" სტადიონზე ერთმანეთის პირისპირ ურუგვაი და ჩილე დადგნენ. ამ უკანასკნელებს ორი დღით ადრე პირველი საერთაშორისო მატჩი ეთამაშათ არგენტინელებთან და 1:3 წაეგოთ, ვერც უფრო გამოცდილ ურუგვაელებთან გახდნენ რამეს და 0:3 დამარცხდნენ. გამარჯვებულთა და „პენიაროლის" ფორვარდმა ხოსე პინდიბენემ, რომლის სახელიც იმ ხანად მთელს დუნიაზე ქუხდა, კონტინენტის პირველობის პირველი გოლი შეაგდო. ურუგვაელთაგან ძლეული ჩილელები ერთხელაც დამარცხდნენ არგენტინასთან — 1:5. პირველი ჩემპიონი უნდა გამოევლინა ძველ მეტოქეთა მატჩს, რომლის საცქერლად ბუენოს აირესის „რასინგ კლუბის" სტადიონზე 40 ათასი „ტორსედორესი" კი შეიკრიბა, მაგრამ სწორედ მათი მიზეზით იმ დღეს, 11 ივნისს, მატჩის ჩატარება არ ეწერა: იარალასხმულმა მაყურებლებმა ისეთი ბათქაბუთქი ატეხეს ტრიბუნებზე, რომ ფეხბურთელებმა თამაში იუარეს. ფინალი მეორე დღეს, 12 ივნისს გაიმართა იმავე სტადიონზე, თუმცა ამჯერად გაცილებით ნაკლები, მხოლოდ 8 ათასი გულშემატკივარი შეიკრიბა. კონტინენტის პირველობის პირველ ფინალში არგენტინელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ 4:1 მოიგეს.

ექვსი წლის შემდეგ, 1916 წელს, სამხრეთ ამერკის ფეხბურთის კონფედერაციის ანუ კონმებოლის დაარსებამდე რამდენიმე თვით ადრე, ჩემპიონატს კვლავ არგენტინამ უმასპინძლა. როგორც იქნა, იმ ხანად საშუალო დონის ბრაზილიამაც ითამაშა. ურუგვაიმ ექვსი წლის წინ მოპოვებული ვერცხლი ოქროზე გაცვალა — ფინალში მოუგო არგენტინას და დამოუკიდებლობის 100 წლისთავის ზეიმი ჩაუშხამა. რამდენიმე თვეში კონმებოლიც დაარსდა და შემდგომ ჩატარებულმა ტურნირებმაც ოფიციალური სტატუსი მიიღო, ზემოთ ნახსენები ორი შეჯიბრი კი არაოფიციალურად ჩაითვალა. მას მერე სამხრეთამერიკელთა პირველობები ხშირად იმართებოდა — 1917-დან 1958 წლამდე 26 ჩემპიონატი მოეწყო, 1959-ს კი სულაც ორი პირველობა ჩატარდა, რაც ოფიციალური სანაკრებო ტურნირების ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. 60-იან წლებამდე შეჯიბრების გამართვის ვადებიც ხშირად იცვლებოდა და გათამაშების ფორმულაც. 1960 წლიდან კონმებოლმა კონტინენტის საკლუბო პირველობა — „ლიბერტადორესის თასი" წამოიწყო, რამაც გარკვეულწილად შელახა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის პრესტიჟი. ალბათ ამიტომაც იყო, რომ 1959 წლიდან 1987 წლამდე „კოპა ამერიკა" სულ ხუთჯერ მოეწყო. იმ წლებში ოკეანის გაღმელთა დიდი სამეული — ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი — კონტინენტის ჩემპიონატში მონაწილეობას ევროპულ ტურნეებს ამჯობინებდნენ და პირველობებზე ხშირად სუსტ გუნდებსაც აგზავნიდნენ. ასე მოხდა 1963 წელს, როცა წლევანდელივით, მაშინაც მასპინძელმა — ბოლივიამ არავის დაუთმო პირველობა: ბრაზილიას 5:4 მოუგო, არგენტინას — 3:2, კოლუმბიას — 2:1, სხვებიც ამათ მიაყოლა და პირველად და ერთადერთხელ იმარჯვა.

1959-87 წლებში ტურნირები სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. 1967 წლის შემდეგ კი სულაც რვა წელი გამოხდა, სანამ 1975 წელს კვლავ არ განახლდა. სწორედ 1975 წელს ეწოდა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატს „კოპა ამერიკა". ის ტურნირი სხვა ბევრითაც იყო აღსანიშნავი: პირველად იასპარეზა კონფედერაციის უკლებლივ ყველა, ათივე ნაკრებმა, პირველად მოეწყო შესარჩევი ტურნირი სამი გუნდის გამოსავლენად, რომელთაც ფინალურ ეტაპზე წინა ჩემპიონატის გამარჯვებული ემატებოდა, პირველად დაინერგა მიმოსვლითი სისტემა. „კოპა ამერიკას" ერთი კონკრეტული მასპინძელი აღარ ჰყავდა. ასეთივე ფორმულით ჩატარდა მომდევნო, 1979 წლის „კოპა ამერიკაც". ასეთ გათამაშებას სხვებზე უკეთ პერუმ და პარაგვაიმ გაუგეს, რომლებმაც იმარჯვეს კიდეც ორივემ მეორედ. 1989 წელს სამხრეთ ამერიკული ფეხბურთის თავკაცებმა კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ შეცვალეს გათამაშების ფორმულა — კვლავ ერთის მასპინძლობას დაუბრუნდნენ და ტურნირის ორ წელიწადში ერთხელ გამართვა დააწესეს. 1989 წელს 10 მონაწილე ორ ხუთგუნდიან ჯგუფად დაიყო, მომდევნო, ფინალურ ეტაპზე ორ-ორი გამარჯვებული გადიოდა. იმ წელს ბრაზილიელებმა შინ იმარჯვეს. ეს წარმატება მათთვის პირველი იყო 1949 წლის შემდეგ. საერთოდ, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა „კოპა ამერიკა" მხოლოდ ოთხჯერ მოიგეს და ისიც მაშინ, როცა ტურნირს მასპინძლობდნენ. 1991 წელს, 32-წლიანი შესვენების შემდეგ, არგენტინამ გაიმარჯვა. 1993 წელს ბასილეს ბიჭებმა წარმატება გაიმეორეს, ოღონდ უკვე 12-გუნდიან „კოპა ამერიკაზე".

1993 წლისა და მომდევნო დროის ამბებზე კი დასაწყისში მოგახსენეთ.

**ლაშა გოდუაძე**

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|---|
| *11 ივნისი* | *12 ივნისი* | *13 ივნისი* |
| ჩილე — პარაგვაი | პერუ — ურუგვაი | მექსიკა — კოლუმბია |
| არგენტინა — ეკვადორი | ბოლივია — ვენესუელა | ბრაზილია — კოსტა რიკა |
| *14 ივნისი* | *15 ივნისი* | *16 ივნისი* |
| პარაგვაი — ეკვადორი | ბოლივია — პერუ | კოლუმბია — კოსტა რიკა |
| ჩილე — არგენტინა | ურუგვაი — ვენესუელა | ბრაზილია — მექსიკა |
| *17 ივნისი* | *18 ივნისი* | *19 ივნისი* |
| ჩილე — ეკვადორი | ვენესუელა — პერუ | მექსიკა — კოსტა რიკა |
| არგენტინა — პარაგვაი | ბოლივია — ურუგვაი | ბრაზილია — კოლუმბია |

*მეოთხედფინალში ჯგუფების ორ-ორი გამარჯვებული და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსნები გადიან*

| | ჩატარების ადგილი | I | II | III |
|---|---|---|---|---|
| 1910 | არგენტინა | არგენტინა | ურუგვაი | ჩილე |
| 1916 | არგენტინა | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია |
| 1917 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია |
| 1919 | ბრაზილია | ბრაზილია | ურუგვაი | არგენტინა |
| 1920 | ჩილე | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია |
| 1921 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | ურუგვაი |
| 1922 | ბრაზილია | ბრაზილია | პარაგვაი | ურუგვაი |
| 1923 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | პარაგვაი |
| 1924 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | პარაგვაი |
| 1925 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | პარაგვაი |
| 1926 | ჩილე | ურუგვაი | არგენტინა | ჩილე |
| 1927 | პერუ | არგენტინა | ურუგვაი | პერუ |
| 1929 | არგენტინა | არგენტინა | პარაგვაი | ურუგვაი |
| 1935 | პერუ | ურუგვაი | არგენტინა | პერუ |
| 1937 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | ურუგვაი |
| 1939 | პერუ | პერუ | ურუგვაი | პარაგვაი |
| 1941 | ჩილე | არგენტინა | ურუგვაი | ჩილე |
| 1942 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია |
| 1945 | ჩილე | არგენტინა | ბრაზილია | ჩილე |
| 1946 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | პარაგვაი |
| 1947 | ეკვადორი | არგენტინა | პარაგვაი | ურუგვაი |
| 1949 | ბრაზილია | ბრაზილია | პარაგვაი | პერუ |
| 1953 | პერუ | პარაგვაი | ბრაზილია | ურუგვაი |
| 1955 | ჩილე | არგენტინა | ჩილე | პერუ |
| 1956 | ურუგვაი | ურუგვაი | ჩილე | არგენტინა |
| 1957 | პერუ | არგენტინა | ბრაზილია | ურუგვაი |
| 1959 | არგენტინა | არგენტინა | ბრაზილია | პარაგვაი |
| 1959 | ეკვადორი | ურუგვაი | არგენტინა | ბრაზილია |
| 1963 | ბოლივია | ბოლივია | პარაგვაი | არგენტინა |
| 1967 | ურუგვაი | ურუგვაი | არგენტინა | ჩილე |
| 1975 | მიმოსვლით | პერუ | კოლუმბია | ბრაზილია |
| 1979 | მიმოსვლით | პარაგვაი | ჩილე | ბრაზილია |
| 1983 | მიმოსვლით | ურუგვაი | ბრაზილია | პარაგვაი |
| 1987 | არგენტინა | ურუგვაი | ჩილე | კოლუმბია |
| 1989 | ბრაზილია | ბრაზილია | ურუგვაი | არგენტინა |
| 1991 | ჩილე | არგენტინა | ბრაზილია | ჩილე |
| 1993 | ეკვადორი | არგენტინა | მექსიკა | კოლუმბია |
| 1995 | ურუგვაი | ურუგვაი | ბრაზილია | კოლუმბია |

### ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ნორბერტო მენდესი (არგენტინა) | 17 |
| ზიზინიო (ბრაზილია) | 17 |
| ტეოდორო ფერნანდესი (პერუ) | 15 |
| სევერინო ვარელა (ურუგვაი) | 15 |
| ადემირი (ბრაზილია) | 13 |
| გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა) | 13 |
| ჟაირი (ბრაზილია) | 13 |
| ხოსე მორენო (არგენტინა) | 13 |
| ექტორ სკარონე (ურუგვაი) | 13 |

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიაში** „ფიორენტინას" მწვრთნელად დაინიშნა ალბერტო მალესანი, რომელმაც „კიევოში" ნაყოფიერი მუშაობით დაიგდო სახელი. აქამდე მალესანის სერია A-ს კლუბებთან არასდროს უმუშავია. ახალდანიშნულ მწვრთნელი „ფიორენტინაში" „კიევოს" ორი მოთამაშის გადაყვანას აპირებს.

**ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" გერმანიის ჩემპიონ „ბაიერნს" შესთავაზა, 14 მილიონ მარკად მცველი მარკუს ბაბელი მომყიდეთო. მიუნხენელთა გუნდის მენეჯერმა ამის თაობაზე განაცხადა, ინგლისელთა წინადადებაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებსო.**

**შვეიცარიის** თასი ირგუნა „სიონმა", რომელმაც „ლუცერნთან" ფინალური მატჩის 3:3 დასრულების შემდეგ პენალტებით 5:4 მოიგო.

**არგენტინელი ხოსე ლუის კალდერონი „ინდეპენდიენტედან" იტალიის თასის ფინალში ძლეულ „ნაპოლიში" ოთხნახევარ მილიონ დოლარად გადაბარგდა. რობერტო აიალას შემდეგ კალდერონი ნეაპოლელთა მეორე არგენტინელია.**

## იტალია

სერია B. 37-ე ტური: დი სანგრო — პესკარა 2:1, ემპოლი — ჩეზენა 2:0, ფოჯა — ბარი 1:1, ლეჩე — ტორინო 1:0, ლუკეზე — კრემონეზე 4:2, პადოვა — კოზენცა 1:1, პალერმო — კიევო 3:1, რავენა — ჯენოა 1:1, რეჯინა — ბრეშია 1:1, ვენეცია — სალერნიტანა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 37 | 17 | 12 | 8 | 46:33 | 63 |
| ემპოლი | 37 | 16 | 13 | 8 | 44:34 | 61 |
| ლეჩე | 37 | 15 | 15 | 7 | 49:39 | 60 |
| ბარი | 37 | 14 | 17 | 6 | 49:34 | 59 |
| ჯენოა | 37 | 14 | 16 | 7 | 54:30 | 58 |
| პესკარა | 37 | 14 | 12 | 11 | 49:36 | 54 |
| კიევო | 37 | 12 | 17 | 8 | 43:39 | 53 |
| ტორინო | 37 | 13 | 11 | 13 | 45:44 | 50 |
| რავენა | 37 | 13 | 13 | 11 | 39:35 | 49 |
| ფოჯა | 37 | 11 | 14 | 12 | 39:39 | 47 |
| ვენეცია | 37 | 10 | 16 | 11 | 46:46 | 46 |
| რეჯინა | 37 | 11 | 13 | 13 | 37:42 | 46 |
| პადოვა | 37 | 10 | 15 | 12 | 39:42 | 45 |
| ლუკეზე | 37 | 10 | 14 | 13 | 35:43 | 44 |
| სალერნიტანა | 37 | 10 | 14 | 13 | 30:41 | 44 |
| დი სანგრო | 37 | 12 | 8 | 17 | 2842 | 44 |
| ჩეზენა | 37 | 9 | 13 | 15 | 36:42 | 40 |
| კოზენცა | 37 | 9 | 13 | 15 | 43:54 | 40 |
| პალერმო | 37 | 6 | 17 | 14 | 39:51 | 35 |
| კრემონეზე | 37 | 7 | 11 | 19 | 30:54 | 32 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### საფრანგეთის ოთხთა ტურნირი

10 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი — ბრაზილია | 3,8 | 3,2 | 1,6 |

11 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია — საფრანგეთი | 2,5 | 2,5 | 2,4 |

### პორტუგალიის თასის ფინალი

10 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — ბოავიშტა | 1,5 | 3,0 | 5,0 |

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

11 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისლანდია — ლიტვა | 3,0 | 2,7 | 2,0 |

### რუსეთის თასის ფინალი

11 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო — ლოკომოტივი (მოსკოვი) | 2,1 | 2,7 | 2,8 |

### სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 ივნისი | | | |
| ჩილე — პარაგვაი | 2,5 | 2,6 | 2,3 |
| არგენტინა — ეკვადორი | 1,4 | 3,2 | 5,5 |
| 12 ივნისი | | | |
| ბოლივია — ვენესუელა | 1,05 | 6,5 | 11,5 |
| 0:2 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| პერუ — ურუგვაი | 3,6 | 3,0 | 1,7 |
| 13 ივნისი | | | |
| ბრაზილია — კოსტა რიკა | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| 0:2 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| მექსიკა — კოლუმბია | 3,6 | 3,0 | 1,7 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ბოლო ტური

11 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფორტუნა — ცვიკაუ | 1,2 | 4,7 | 6,5 |
| ლაიპციგი — კარლ ცაისი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| გიუტერსლო — კიკერსი | 3,3 | 3,2 | 1,7 |
| როტ ვაისი — უნტერჰახინგი | 2,3 | 2,8 | 2,3 |
| კაიზერსლაუტერნი — მეპენი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ოლდენბურგი — აინტრახტი | 3,3 | 3,2 | 1,7 |
| ლიუბეკი — მანჰაიმი | 1,9 | 3,2 | 2,7 |
| ვოლფსბურგი — მაინცი | 1,7 | 3,0 | 3,6 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ტურისტული ფირმა GT

გიწვევთ სამოგზაუროდ პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე დასასწრებად 18 ივლისიდან 24 ივლისის ჩათვლით.
აგრეთვე გეპატიჟებით სამოგზაუროდ ეგვიპტეში, ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში.
დაგეხმარებით ინგლისის და ევროვიზების მიღებაში

თბილისი, ჭავჭავაძის 49ა (ღია საცურაო აუზთან)
ტ. 22-19-99 (დღისით), 96-27-20 (საღამოს)

## ავტორბოლა

# რბოლა სამთავრობო ალმართზე

## მცირე ავარიით

ავტოსპორტის ქართველმა მიმდევრებმაც გამოიხედეს თვალში და ბოლო ხანს ჩვენში ჩამკვდარი სპორტის ამ სახეობის აღორძინებას მოჰკიდეს ხელი. შარშან და წელს რამდენიმე ტურნირი გამართეს, ისეთი, საშინაო რომ ეთქმის და მხოლოდ შინაურები რომ მონაწილეობენ, მაგრამ მობეზრდათ საკუთარ წვენში ხარშვა და გუშინწინ ბაგები — წყნეთის ტრასის 5-კილომეტრიან მონაკვეთზე ნამდვილი რალი გაიმართა. ეს შეჯიბრი საევროპისჩემპიონატო შესარჩევი ციკლის ეტაპთაგანი იყო სამთო რბოლაში, ალმართის ჩქაროსნულ დაძლევასაც რომ უწოდებენ. ქართველთა გარდა რბოლაში 3 სომეხი სპორტსმენიც მონაწილეობდა, ერთ-ერთმა სტუმართაგანმა — სურენ მათევოსიანმა კი ვერ იასპარეზა — მაინც და მაინც სტარტის წინ, ვარჯიშზე გაუფუჭდა ნალოლიავები „ჟიგული". ამიერკავკასიელთაგან რატომღაც აზერბაიჯანელები არ ჩამოსულან, რომელთაც ორგანიზატორები ბოლო წუთამდე ელოდნენ.

სტარტზე 12 მანქანა გამოვიდა — 3 სომხებისა, 9 ჩვენებურთა. აღსანიშნავია, რომ 8 თბილისელს საქართველოს სხვა რეგიონიდან მხოლოდ გოჩა გურგენაშვილი შეუერთდა. თურმე, ბოლო ხანს გორელები ხშირად ასპარეზობენ ავტოსპორტის ფედერაციის მიერ გამართულ ტურნირებში, თავადაც უმასპინძლიათ ამგვარი შეჯიბრებისთვის, რისთვისაც ფედერაციის თავკაცები დიდად ემადლიერებიან მათ. სპორტსმენები ხუთჯერ გამოვიდნენ სტარტზე, მაგრამ ჩასათვლელ ქულას მათ მხოლოდ ბოლო 2 რბოლა აძლევდა. პირველივე არაოფიციალური რბოლების შედეგებმა ცხადყო, რომ პირველობისთვის ძირითადად სამი მრბოლი იბრძოლებდა: თემურ აბრამოვი, გოჩა გურგენაშვილი და დათო წიკლაური. ასეც მოხდა: ბოლო 2 რბოლის შედეგების შეჯამების შემდეგ სწორედ ამ თანამიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილები.

აღსანიშნავია, რომ ასპარეზობის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ლევან ლოლუა 20 წლისაა, ხოლო მხცოვანნი 52 წლისანი — მერაბ შენგელია და ნუგზარ წამალაშვილი.

ასპარეზობას ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელ — დამკვირვებელი, ხორვატი ზრინკო გრიგორიკი ესწრებოდა. ხორვატ სტუმარს მეტად მოეწონა ტრასა და თქვა, თუ ცოტასაც მოუვლით, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება სამთო რბოლისთვისო. სხვათა შორის, ჩვენი ფედერაციის თავკაცები საერთაშორისო ხელმძღვანელთ აგულიანებენ, ვინძლო საგაისოდ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება დასტყუონ. გრიგორიკის კეთილგანწყობა კი ამ საქმის სასურველი გადაწყვეტის საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია.

ჩვენს გაჭირვებულ ფედერაციას, აბა, ამ ტურნირის ჩასატარებელი თანხები სად ჰქონდა, მით უმეტეს, ავტოსპორტი ძვირადღირებული სიამოვნებაა, ამიტომაც სპონსორების ხელშეწყობით გაართვა თავი საქმეს. ფირმა ABK-BP, თბილისის მერია, საგზაო პოლიციის ქალაქის სამმართველო ამოუდგნენ მხარში და ყველა პრობლემა მოუგვარეს. სარეკლამო სააგენტო „მიმინომ" კი წვრილფეხა სპონსორები მოუზიდა.

ავტოსპორტი მეტად რისკიანი სპორტია, მსხვერპლიც ხშირია და უმძიმესი ტრავმებიც. საბედნიეროდ, გუშინწინ არც ერთი ყოფილა და არც მეორე, მხოლოდ სომეხმა არსენ სიმონიანმა „მოახერხა" შუა ტრასაზე უკვე ნახევრად დაშლილი ბეტონის ბორდიურის გადანგრევა და ხევში გადავარდნა. გზასაცდენილი არსენი მრავალწლოვანმა ნაძვმა გააჩერა. მასპინძელთა გასახარად, სომეხი სტუმარი ითლად გადარჩა — არცკი დაშავებულა.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე მითხრა საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით ლოლუამ: ზრინკო გრიგორიკმა გამაფრთხილა, თუ გინდათ, რომ ეს ტრასა საერთაშორისო სტანდარტებს გაუტოლდეს და ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის ნებაც დაგრთოთ, უპირველესად, მთელს ტრასაზე რკინის ჯებირები უნდა გააკეთოთო.

რას ერჩი, მართალი ყოფილა ეს კაცი.

**ლევან ჯავახიშვილი**

## ჰოკეი

# სიხარულის წითელი ფრთები

### NHL. სტენლის თასი

### დეტროიტი 4-0 ფილადელფია

**დეტროიტი — ფილადელფია 2:1**
**შაიბები: ლიდსტრიომი 2 (მოლტბი 20), მაკარტი 3 (სანდსტრიომი, აიზერმანი, 24) — ლინდროსი 12 (დეჟარდენი, 60).**

ვინ დაიჯერებდა ფინალური სერიის დაწყებამდე, რომ დეტროიტი 4:0 სძლევდა ფილადელფიას. ეს თითქმის სასწაულის ტოლფასი იყო, მაგრამ „წითელფრთიანებმა" იგი რეალობად აქციეს — მშრალად მოიგეს და 42 წლის შემდეგ, როგორც იქნა, კვლავ იგემეს თასის სიტკბო. ახლა, როცა გამარჯვებული უკვე გამოვლინდა, იმაზეც შეიძლება ითქვას, რამ გადაწყვიტა სერიის ბედი: ფაქტობრივად, ფილადელფიაში გამართულმა, პირველმა ორმა შეხვედრამ — თანაბარ ბრძოლაში ბედმა დეტროიტს გაუღიმა, წარმატების მიღწევაში მას „მფრინავთა" გოლკიპერების არასტაბილური თამაშიც დაეხმარა. მესამე მატჩმა კი განადგურებული ფილადელფიელები ერთი წლით გამოათხოვა თასზე ოცნებას. არა, ფილადელფიას ფარხ-ხმალი არ დაუყრია და ახლა მედგრად შეებრძოლა მეტოქეს, მაგრამ ეს განწირულთა გაბრძოლება იყო. მეოთხე შეხვედრაში „მფრინავები" უეცრად ათამაშებულმა ვერნონმაც დააბნია — სტუმრებმა არ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ 34 წლის გოლკიპერისთვის, რომელიც 1989 წელს კალგარის შემადგენლობაში თასის აღების შემდეგ არაფრით გამორჩეულა და ბოლო წლებში „წითელფრთიანების" სათასო წარუმატებლობაშიც ლომის წილი ედო. ვერც წლევანდელი სეზონი დაიწყო ვერნონმა ხეირიანად და რამდენიმე უიღბლო თამაშის შემდეგ ძირითადი გოლკიპერობა კრის ოზგუდს გადააბარა, რომელიც, უნდა ითქვას, უფრო საიმედოდ გამოიყურებოდა. მაგრამ დეტროიტის გამჭრიახი თავკაცი სკოტი ბოუმენი ფლეი-ოფში კვლავ ენდო მობერებულ მეკარეს და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, არც შემცდარა. ვერნონი სერიიდან სერიამდე უმატებდა და ფინალში მისი ძლევა უკვე შეუძლებელი გახდა. საბოლოოდ საქმე ისე წავიდა, რომ უკანასკნელი თამაშის მხოლოდ ბოლო წუთებზე „მოარგეს" დეტროიტის გოლკიპერს გასაღები ბრინდამორმა (3 გოლი) და ლეკლერმა (2) და მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე ლინდროსმა მას შაიბაც შეუგდო, თუმცა ეს გოლი უკვე აღარაფერს წყვეტდა. მანამდე სტუმრები ძალზე კარგად გამოიყურებოდნენ და არაერთხელ იყვნენ მიზანთან ახლოს. დეტროიტს განსაკუთრებით მეორე მესამედში გაუჭირდა, როდესაც ფილადელფიამ მასპინძლები საკუთარ ზონაში ჩაკეტა და უამრავი საგოლე მომენტით დაემუქრა, მაგრამ ზემოთაც ვთქვით, რომ დეტროიტის კარში თავად ვერნონი იდგა. ფილადელფიელმა ჰექსტოლმა კი კოლეგასავით ვერ იყოჩაღა — მასპინძელთა მიერ პირველ ორ პერიოდში გატანილი ორი შაიბიდან პირველი მისი ბრალი იყო, რადგან ლიდსტრიომის შორეულ დარტყმას აუღებელი ნამდვილად არ ეთქმოდა. მეორე გოლი კი აიზერმანის სამეულის ლამაზი კომბინაციის და მაკარტის მეკარესთან პირისპირ გასვლის შედეგი იყო.

თამაშის შემდეგ დეტროიტელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რამდენიმეს კი ამ გამარჯვებამ დიდი ხნის ოცნება აუსრულა: ჯერ ერთი, სახელგანთქმულმა რუსებმა, 39 წლის ფეტისოვმა და 37 წლის ლარიონოვმა კარიერის მიწურულს თავიანთი ჯილდოების მდიდარ კოლექციას თასის მფლობელის ტიტულიც შემატეს. და მეორე — დეტროიტის მწვრთნელმა ბოუმენმა ლიგის ისტორიაში პირველმა იზეიმა თასის მოგება სამ სხვადასხვა გუნდთან ერთად (5-ჯერ მონრეალთან, თითოჯერ პიტსბურგთან და დეტროიტთან), მოპოვებული თასების რაოდენობით კი (7)



სკოტი ბოუმენმა მეშვიდედ აიტაცა სტენლის თასი

მას მხოლოდ მონრეალელ ბლეიკი ჯობნის.

დეტროიტის მეკარე მაიკ ვერნონი (16 მოგება, 4 წაგება, 1,76 შაიბა მატჩში) თასის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს და „კონ სმაიტ ტროფი" გადასცეს.

და ბოლოს — ზედიზედ მესამედ თასის ფინალი მშრალი ანგარიშით მთავრდება, ლიგის ისტორიაში კი ეს მე-19 შემთხვევაა.

**სტენლის თასის მფლობელები:** მეკარეები ვერნონი და ოზგუდი; მცველები: მერფი (2 გოლი და 9 პასი), ლიდსტრიომი (2+6), კონსტანტინოვი (0+4), ფეტისოვი (0+3), პუშორი (0+1), უორდი, როუზი; თავდამსხმელები: შენაჰანი (9+8), ლარიონოვი (4+8), ლაპოინტი (4+7), კოზლოვი (8+5), ფიოდოროვი (8+12), ბრაუნი (3+3), მაკარტი (3+4), აიზერმანი (7+6), სანდსტრიომი (0+4), მოლტბი (5+1), დრეიპერი (2+4), კოშური (1+3)

**თასის ფინალები, რომლებიც 4:0 დამთავრდა**

| | | |
|---|---|---|
| 1941 | ბოსტონი — დეტროიტი | 3:2, 2:1, 4:2, 3:1 |
| 1943 | დეტროიტი — ბოსტონი | 6:2, 4:3, 4:0, 2:0 |
| 1944 | მონრეალი — ჩიკაგო | 5:1, 3:1, 3:2, 5:4 |
| 1948 | ტორონტო — დეტროიტი | 5:3, 4:2, 2:0, 7:2 |
| 1949 | ტორონტო — დეტროიტი | 3:2, 3:1, 3:1, 3:1 |
| 1952 | დეტროიტი — მონრეალი | 3:1, 2:1, 3:0, 3:0 |
| 1960 | მონრეალი — ტორონტო | 4:2, 2:1, 5:2, 4:0 |
| 1968 | მონრეალი — სენტ-ლუისი | 3:2, 1:0, 4:3, 3:2 |
| 1969 | მონრეალი — სენტ-ლუისი | 3:1, 3:1, 4:0, 2:1 |
| 1970 | ბოსტონი — სენტ-ლუისი | 6:1, 6:2, 4:1, 4:3 |
| 1976 | მონრეალი — ფილადელფია | 4:3, 2:1, 3:2, 5:3 |
| 1977 | მონრეალი — ბოსტონი | 7:3, 3:0, 4:2, 2:1 |
| 1982 | აილენდერზი — ვანკუვერი | 6:5, 6:4, 3:0, 3:1 |
| 1983 | აილენდერზი — ედმონტონი | 2:0, 6:3, 5:1, 4:2 |
| 1988 | ედმონტონი — ბოსტონი | 2:1, 4:2, 6:3, 6:3 |
| 1992 | პიტსბურგი — ჩიკაგო | 5:4, 3:1, 1:0, 6:5 |
| 1995 | ნიუჯერზი — დეტროიტი | 2:1, 4:2, 5:2, 5:2 |
| 1996 | კოლორადო — ფლორიდა | 3:1, 8:1, 3:2, 1:0 |
| 1997 | დეტროიტი — ფილადელფია | 4:2, 4:2, 6:1, 2:1 |

**საუკეთესო ბომბარდირები:** ლინდროსი (ფილადელფია) 26 (12+14), საკიკი 25 (8+17), კ. ლემიე 23 (13+10), კამენსკი (სამივე — კოლორადო) 22 (8+14), ბრინდამორი 21 (13+8), ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 21 (9+12), გრეცკი (რეინჯერზი) 20 (10+10), ფიოდოროვი (დეტროიტი) 20 (8+12), ფორსბერგი (კოლორადო) 18 (5+13), შენაჰანი (დეტროიტი) 17 (9+8), ოზოლინში (კოლორადო) 17 (4+13), კოზლოვი 13 (8+5), აიზერმანი (ორივე — დეტროიტი) და კარია (ანაჰაიმი) 13 (7+6).

**მცველები:** ოზოლინში 17 (4+13), ნიინიმა (ფილადელფია) 13 (1+12), მერფი (დეტროიტი) 11 (2+9), დ. მირონოვი (ანაჰაიმი) 11 (1+10), ბ. მირონოვი (ედმონტონი) ლიჩი (რეინჯერზი) და დეჟარდენი (ფილადელფია) 10 (2+8), დენიო (ანაჰაიმი) 9 (2+7), კოფი (ფილადელფია) 9 (1+8)

**ახალბედები:** ნიინიმა 13 (1+12), ზუბრუსი (ფილადელფია) 9 (5+4), ელიაში (ნიუ ჯერზი) 5 (2+3), მაკჯილისი (ედმონტონი) 5 (0+5)

**სნაიპერები:** კ. ლემიე და ბრინდამორი 13, ლინდროსი 12, გრეცკი 10, ლეკლერი და შენაჰანი 9

**ასისტენტები:** საკიკი 17, კამენსკი და ლინდროსი 14, ფორსბერგი და ოზოლინში 13, ლეკლერი, ფიოდოროვი და ნიინიმა - 12

**სამველ ლარიბიანი**

## კალათბურთი

### NBA. ფლეი-ოფი

ფინალი. ოთხ მოგებამდე
იუტა 2-2 ჩიკაგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მესამე მატჩი

6 ივნისი. სოლტ ლეიკ სიტი

**იუტა — ჩიკაგო 104:93**
(31:22, 30:23, 16:15, 27:33)

**იუტა:** რასელი (14), მელოუნი (37), ოსტერტაგი (4), ჰორნაჩეკი (4), სტოქტონი (17), ეისლი (4), მორისი (7), ფოსტერი (17), კიფი, კარი
**ჩიკაგო:** როდმანი, პიპენი (27), ლონგი (4), ჯორდანი (26), ჰარპერი (2), უილიამსი (16), კერი (7), კუკოჩი (8), ბიუხლერი (3), კეფი, ბრაუნი

მესამე მატჩმა ვითარება ძალზე გაამწვავა, რასაც არავინ ელოდა.

იუტას მოედანზე გამართულ პირველ შეხვედრაში გამოირჩა მასპინძელთა საუკეთესო მოთამაშე მელოუნი. როგორც ჩანს, მას მობეზრდა ჯორდანის ჩრდილში ყოფნა და მავანთ აჩვენა, რომ, თუ გაცხარდა... თუ იუტელმა რაიმეში დაუდო ტოლი ჯორდანს, ის იყო, რომ ჩიკაგოელის წინა მატჩის მონაგარზე ერთით ნაკლები — 37 ქულა დააგროვა.

ჯორდანს ძალზე მკაცრად მეურვეობდნენ და ამიტომაც იყო, რომ 22 ტყორცნიდან 13 ააცილა. ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა პიპენი, თავქარიანი როდმანი კი, ფაქტობრივად, ამ მარცხის მთავარი დამნაშავე გახდა.

### მეოთხე მატჩი

8 ივნისი. სოლტ ლეიკ სიტი

**იუტა — ჩიკაგო 78:73**

**იუტა:** რასელი (8), მელოუნი (23), ოსტერტაგი (5), ჰორნაჩეკი (13), სტოქტონი (17), ეისლი (6), ფოსტერი (6), მორისი, კარი (2), კიფი
**ჩიკაგო:** პიპენი (16), როდმანი, ლონგლი (11), ჯორდანი (22), ჰარპერი (3), ბრაუნი, კეფი, უილიამსი (10), კერი (21), კუკოჩი (9), ბიუხლერი

მატჩის დამთავრებამდე 17 წამით ადრე იუტა ერთი ქულით აგებდა. საჯარიმოს ხაზზე მელოუნი დადგა და ორი ზუსტი ტყორცნით 76:73 გახადა, შორეული ნატყორცნის იმედად დარჩენილ ჩიკაგოელებს კი ჯორდანმა უმტყუნა და მელოუნის ბრწყინვალე პასის შემდეგ რასელმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ასე დრამატულად წარიმართა მეოთხე შეხვედრის ბოლო წუთები, რის შემდეგ ანგარიში სერიაში გათანაბრდა — 2-2. შემდეგი მატჩი იუტაში 11 ივნისს გაიმართება. არადა, თამაშის დამთავრებამდე ორნახევარი წუთით ადრე ჩიკაგო აკონტროლებდა სიტუაციას და 73:69 იგებდა, თანაც ბურთი სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ მატჩის კიდევ ერთმა გმირმა სტოქტონმა ზედიზედ სამი საჯარიმო ჩააგდო და მელოუნსაც მშვენიერი პასი მიაწოდა — 74:73 იუტას სასარგებლოდ. ის კი, რაც შემდეგ მოხდა, ზემოთ გიამბეთ.

# ჯუჯები ერთად თამაშობენ

ვინმე ფილადელფიელი, უოლტერ ბრაუნი ლუქსემბურგში ჩასულა, ირგვლივ მიმოუხედავს და აღფრთოვანებულა, ო-ო, რა წარმტაცი მთები გქონიათო. ლუქსემბურგელ გიდს ბრაუნისთვის ალმაცერად შეუხედავს და უთქვამს, „დიდიც არაფერი, ჩვეულებრივი ბელგიური მთაა!" შეცბუნებულმა ბრაუნმა ახლა მეორე მხარეს გაიხედა: „აი, ეს კი მართლაც ბრწყინვალე ციხე-სიმაგრეა!" პასუხად გიდმა კიდევ უფრო შეიკრა: „გეთანხმებით, ბატონო, მაგრამ ეგ ციხე-სიმაგრე საფრანგეთშია!"...

ლუქსემბურგის ტურისტული პროსპექტები ასე ან ამგვარად ცდილობენ დიდი საჰერცოგოს ზომების ჩვენებას. ლუქსემბურგის ფართობი უფრო თვალნათლივ რომ შევიგრძნოთ, ვიტყვით — ევროპის ეს ერთ-ერთი ჯუჯა ქვეყანა საფრანგეთის ტერიტორიაზე 213-ჯერ მცირეა, ხოლო ევროპის მასშტაბებით ისეთი პატარა სახელმწიფო, როგორიც ბელგიაა, ამ საჰერცოგოს 12-ჯერ აღემატება. თუმცა ამ მინიატურული ქვეყნის ტერიტორია ბუმბერაზად გამოიყურება ისეთ კლასიკურ ციცქნებთან შედარებით, როგორებიც ანდორა, ლიხტენშტაინი, სან-მარინო და მონაკოა.

რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობას, ამ მხრივ ლუქსემბურგი ევროპის ყველა ჯუჯა ქვეყანასთან შედარებით ბევრად მეტ მოქალაქეს ითვლის. და მაინც, მისი მოსახლეობა, დიდიან-პატარიანად, ორ მარაკანას სტადიონზე დაეტევა.

არადა, ევროპის ეს ჯუჯები, რომლებიც თავიანთი ტერიტორიების სიმცირის გამო რუკებზე მხოლოდ ციფრებით აღინიშნებიან, მსოფლიოს მჩქეფარე ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი და ხშირად ყველას ყურადღებას იპყრობენ.

ბუნებრივია, გამონაკლისი არც ამ ქვეყნების სპორტული ცხოვრებაა. დიდი მასშტაბის რუკებზეც კი მართლაცდა მიკროსკოპით დასანახი ქვეყნები ოლიმპიურ მოძრაობაშიც აქტიურად მონაწილეობენ. მერე რა, თუ მათი წარმომადგენლები ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული ოქრო-ვერცხლის სიმრავლით თავს ვერ იწონებენ.

რაკი ისინი ბუმბერაზ სახელმწიფოთა ჩრდილში არიან და მათი წარმომადგენლები გიგანტი ქვეყნების სპორტსმენებს კანტი-კუნტად უწევენ მეტოქეობას, ალბათ ამიტომაც საკუთარი შეჯიბრებაც გამოიგონეს და ტრადიციადაც აქციეს მათი ჩატარება. ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის ეგიდით მათთვის ორ წელიწადში ერთხელ სპორტული თამაშები იმართება. ამ თამაშებში მონაწილეობენ ის ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა მილიონს არ აღემატება.

ანდორა, კვიპროსი, ისლანდია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, სან მარინო — აი, ის ქვეყნები, რომელთა წარმომადგენლები ამგვარ შეჯიბრებებში გამოდიან.

ამ ქვეყნების სპორტულ ძალთა თანაფარდობაზე მიახლოებითი წარმოდგენის შესაქმნელად იმასაც გეტყვით, რომ ბოლო თამაშებზე, რომელიც შარშანწინ ლუქსემბურგში გაიმართა, ყველას აჯობეს ისლანდიელებმა, რომლებმაც 33 ოქროს, 17 ვერცხლის, 28 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: კვიპროსის (შესაბამისად 22, 25, 22), ლუქსემბურგის (20, 26, 12), ლიხტენშტაინის (5, 2, 1), მონაკოს (3, 2, 1), ანდორას (2, 5, 8), სან მარინოს (2, 5, 2) და მალტის (1, 4, 7) გუნდები. ეს მედლები მათ გაინაწილეს მძლეოსნობაში, ცურვაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, ძიუდოში, ველოსპორტში, ტყვიის სროლაში, აფროსნობაში.

ჯუჯა ქვეყნების სპორტულ ცხოვრებაზე უფრო ცხადი სურათის შესაქმნელად კიდევ რამდენიმე ცნობას მოგაწვდით, რაც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.

ამ ერთი ცოდა ქვეყნებიდან თავისი ოლიმპიური ისტორიის ხანგრძლივობით ლუქსემბურგი გამოირჩევა. მისი ოლიმპიური კომიტეტი ჯერ კიდევ 1909 წელს დაარსდა. 1912 წლიდან ყველა ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის უმრავლეს სახეობაში გამოდის. გამონაკლისი მხოლოდ 1932 წლის ზაფხულის თამაშები იყო. ლუქსემბურგელებს ძალა უცდიათ ზამთრის 1928 და 1936 წლების ოლიმპიურ თამაშებზეც. მათ პირველი ოლიმპიური მედალი (ვერცხლი) 1920 წელს მოიპოვეს, მეორე კი (ოქრო) 1952 წელს. მაშინ ჩემპიონი 1 500 მეტრზე რბენაში გახდა ჟ. ბარტელი.

ისლანდიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მართალია, 1935 წელს აღიარეს, მაგრამ ამ ქვეყნის სპორტსმენები ოლიმპიურ სარბიელზე 1908 და 1912 წლებში გავიდნენ, 1936 წლიდან კი რეგულარულად ასპარეზობდნენ (ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, ცურვაში...). მათგან პირველი მედალი (ვერცხლი) 1956 წელს მოიპოვა ვ. ეინარსონმა (სამხტომი).

მონაკოელებს ოლიმპიური ჩემპიონი არ ჰყოლიათ, მაგრამ ოლიმპიურ მოძრაობაში ისინი ძალზე აქტიურად არიან ჩაბმულნი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა გრიმალდების დინასტია, რომელიც 700 წელია, ამ ქვეყანას მართავს. მონაკოელებს, ყველას ერთად თავი რომ მოვუყაროთ, ჩვენი ეროვნული სტადიონის პირველ იარუსს თუ შეავსებენ გაჭირვებით, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა შორის, სხვადასხვა წლებში, მონაკოელთა, უფრო ზუსტად, გრიმალდების დინასტიის ოთხ წევრს ვხედავთ. არადა, ამ უავტორიტეტულესი ორგანიზაციის წევრთა შორის არათუ ერთი ქვეყნიდან, მით უმეტეს, ოჯახიდან, არამედ ერთი-ორი ვეება სახელმწიფოდან თუ დაითვლით ოთხ კაცს. ეგ კი არა, უმრავლეს სახელმწიფოებს ასეთი პატივი საერთოდ არ რგებიათ და კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, მანამ ეს ეღირსებათ, ან იქნებ ვერც ეღირსონ.

გრიმალდების ოჯახიდან ასეთი პატივი წილად ხვდათ გრაფ ალბერტ გაუთერვიგნალს, ტახტის მემკვიდრე უფლისწულ რენიეს, უფლისწულ პიერს, ახლა კი სოკის წევრი მისი შვილიშვილი უფლისწული ალბერტია, რომელიც მონაკოს ოლიმპიური კომიტეტის მესაჭე გახლავთ. იგი არა მხოლოდ მონაკოს ეოკის პრეზიდენტია, არამედ ზამთრის ბოლო სამ ოლიმპიურ თამაშებზე ორადგილიანი ბობით ასპარეზობდა.

მონაკოელთა ოლიმპიური მოძრაობის ისტორიიდან საინტერესოა 1924 წლის ოლიმპიური თამაშები. მაშინ ამ ქვეყნის წარმომადგენელმა ოლიმპიური თამაშების კულტურული პროგრამით გამართულ პაექრობაში დაიკავა მეორე ადგილი. ეს გახლდათ ჯულიან მედისონი, ვინც არქიტექტორთა კონკურსში წარმოადგინა ფონტვეილის სპორტული კომპლექსის პროექტი, რომელიც მოიცავდა ველოტრეკს, ფეხბურთისა და რაგბის სარბიელს, საცურაო აუზს.

არანაკლებ საინტერესოა, რომ უფლისწულ პიერის ინიციატივით, როცა იგი სოკის წევრი იყო, მოეწყო კონკურსი ახალი ოლიმპიური ჰიმნის დასაწერად.

ახლა მონაკოსა და მის „თანამოძმე" თანატოლ ქვეყნებს ოლიმპიურ ჰიმნთან ერთად აერთიანებთ ჯუჯა ქვეყნების სპორტული თამაშებიც, რომლებშიც ასპარეზობს 800-მდე სპორტსმენი, იქვეა 220-მდე მწვრთნელი და მსაჯი, 200-მდე ჟურნალისტი და მრავალი გულშემატკივარი.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# ჩოგბურთი

## როლან გაროსი

საფრანგეთის ღია პირველობას დიდი სლემის ტურნირებიდან ყველაზე ულოგიკოს სახელი კარგა ხანი აქვს დაგდებული, მაგრამ იმან, რაც წელს მოხდა, ყოველგვარ ვარაუდს გადააჭარბა: შაბათს ქალთა შეჯიბრის ფინალში დამარცხდა უცილო ფავორიტი და წელს უძლეველი ცქრიალა გოგო, ჩემპიონი კი პირველად გახდა ტომით ხორვატი, თანაც ოდენ მე-9 ნომრად განთესილი, რაც „ღია" (პროფესიული) ჩოგბურთის ხანაში უმაგალითო ამბავია.

**კვირას უარესი მოხდა: გაიმარჯვა 20 წლის ჭაბუკმა, რომელიც აქამდე მსოფლიოს მხოლოდ 66-ე ჩოგანი იყო და კარიერაში ტურის ერთი სიაფანდი ტურნირი რაა, ისიც ვერ მოეგო. ამასთან, პროფესიული კარიერის ოდენ 49-ე მატჩსა თამაშობდა. ხორვატისა არ იყოს, ახალი ჩემპიონი დიდი სლემის მომგები პირველი ბრაზილიელი შეიქნა.**

მაიოლიმ ჰინგისს საათსა და 19 წუთში მოუგო. I ხელში ერთადერთი ბრეიქი VII გეიმში მოხდა. II ხელში მაიოლიმ V გეიმი რომ აანაპნა ჰინგისს, ამან საპირფარეშოში გაუტია. იქითკენ გაიქცა მისი მწვრთნელი დედაც, მაგრამ ორგანიზატორებმა წესი დაიცვეს და მოძღვარი არ მიუშვეს შეგირდთან. ჰინგისმა კვართი გამოიცვალა, ხალხი კი კორტზე დაბრუნებულს სტვენით შეხვდა.

**მაიოლი არ აღელვებულა. VII გეიმში ისევ გაახერხა ბრეიქი. ჰინგისმა ისევ ითხოვა 3-წუთა პაუზა და მასაჟისტს ბარძაყი დააზელინა, მაგრამ ვერც ამან უშველა — მაინც წააგო და დობილ მაიოლის ხუმრობით დაექადნა, მაცალე, წელს კიდევ გადაგეყრებიო.**

**მაიოლი როლან-გაროსის 7-გზის ჩემპიონმა, ამერიკელმა კრის ევერტმა დააჯილდოვა. მოგებულს 664 115 US$ ერგო, წაგებულის წილი კი 327 058 გამოვიდა. ეს თანხები მრგვალი იმად ვერაა, რომ ორგანიზატორები მას ფრანგულ ფრანკებად თვლიან.**

მაიოლი 1977 წლის 12 აგვისტოს ზაგრებში დაიბადა. ამჟამად ტანად 173 სანტიმეტრია და 61 კილოს იწონის. ჩოგბურთს 7 წლისა ეზიარა. 15 წლისა ჩაება აშშ-ის პირველობაში. პირველი ტურნირი 17 წლისამ მოიგო. აქამდე სულ 6 შეჯიბრში გაუმარჯვნია და 2,91 მილიონი მოუხვეჭია. ცნობილია სიქველით. წლევანდელ როლან გაროსამდე დიდი სლემის ტურნირებში მეოთხედფინალს არ გაცილებია.



გუსტავო კერტენმა — ბრაზილიას, ივა მაიოლიმ კი — ხორვატიას პირველად გაამარჯვებინეს დიდი სლემის შეჯიბრებაში



ასოშიეითიდ პრესი და როიტერი პარიზიდან

# ბრაზილიელის, ხორვატის

კერტენმა საფრანგეთის ორგზის ჩემპიონი ბრუგერა საათსა და 50 წუთში დაამარცხა. 188 სანტიმეტრი სიმაღლის ჭრელაჭრულად შემოსილი ჯეელის მთავარი იარაღი წინიდან დარტყმაა. ცოტა უცნაური კია და გუსტავოს ბებიამისი ოლგა და უფროსი ძმა რაფაელი წვრთნიან. მამაც ჩოგბურთელი ყოლია: ბიჭი 8 წლისა რომ იყო, მსაჯობის დროს გულის შეტევით მომკვდარა. კერტენმა დიდი გამარჯვება სწორედ რომ განსვენებულ მშობელს უძღვნა.

ბრუგერა თავიდანვე დაითრგუნა. ცქვიტმა ბრაზილიელმა სამივე ხელში ორ-ორი ბრეიქი გაახერხა, თავად კი ერთადერთჯერ წააგო თავისი მოწოდება. გადამწყვეტი გამოდგა II ხელის IX გეიმი, როცა გუსტავო სამ ბრეიქ-პოინტს დაუძვრა, 5:4 დაწინაურდა და სავარძელს იმედმიცემულმა მიაშურა.

კერტენი საფრანგეთის 6-გზის ჩემპიონმა, შვედმა ბიორნ ბორგმა დააჯილდოვა. ვიდრე თასს გადაცემდნენ, ბიჭმა მტვრიანი ფეხსაცმელები საგანგებოდ გაიწმინდა. მერე ვერც შამპანური გახსნა, რადგან ამისი გამოცდილება კლებია. აი, ჯილდოდ კი 695 500 US$ ერგო, რაც მანამდელ მონაგარს სამჯერ აღემატება. რაკი გუსტავო სანახევროდ გერმანელია და შეძლებული ოჯახის შვილიცაა, გაწყობილი სახლიცა აქვს და დედამისის მანქანასაც დააგელვებს; ჰოდა, ამოტოლა ფულს თურმე ბანკში გადაინახავს.

კერტენის მშობლიური ქალაქი სამხრეთი შტატის — სანტა-კატერინას დედაქალაქი ფლორიანოპოლისია. იქვე დაბადებულა 1976 წლის 10 სექტემბერს. ერის სათაყვანო ფეხბურთს 14 წლისამ უგანა და ჩოგბურთს დაეწაფა. 18 წლისა გახდა პროფესიონალი. აქამდე რომ ვერაფერი მოეგო, უკვე შევნიშნეთ, როლან გაროსში გამარჯვებით კი კლასიფიკაციის მოწინავე ოცეულში ჭურვივით ადგილიდან შეიჭრება.

ნიკო ვეფხვაძე

ზვერევა და ფერნანდესი წელს ისევ შეამხანაგდნენ და ბოლო 6 წელში პარიზში მეხუთედაც (!) გაიმარჯვეს. კაფელნიკოვმა და ვაჩეკმა შარშან მოგებული ტიტული შეინარჩუნეს.

### ფინალები

7. 06. ქალ-ვაჟი: რიკა ჰირაკი (იაპონია) და მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი) (16) — ლიზა რეიმანდი და პატ გალბრეითი (ორივე აშშ) (1) 6:4, 6:1

ვაჟთა წყვილები: ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) და დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) (4) — თოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (ორივე ავსტრალია) (1) 7:6 (14-12), 4:6, 6:3

ქალები: ივა მაიოლი (ხორვატია, 9) — მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 1) 6:4, 6:2

8. 06. ქალთა წყვილები: ჯიჯი ფერნანდესი (აშშ) და ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) (1) — მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) და რეიმანდი (5) 6:2, 6:3

ვაჟები: გუსტავო კერტენი (ბრაზილია) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი, 16) 6:3, 6:4, 6:2

# ველორბოლა

## გოტიმ მილანამდეც ივარგა

იტალიელი ქომაგები დამშვიდდნენ — ექვსი წლის შემდეგ მათიანმა კვლავ გაიმარჯვა ჯიროში. თუ 1991 წელს იტალიის ველოტურის ჩემპიონი ფრანკო კიოჩოლი იყო, წელს მისმა 28 წლის შეგირდმა ივან გოტიმ დაუბრუნა სამშობლოს უცხოელთა მიერ წაგვრილი ტიტული.



**ბოლო სამი ეტაპის წინ გოტი წუთსა და 32 წამს უგებდა შარშანდელ ჩემპიონს, რუს პაველ ტონკოვს. რუსი III ეტაპიდან მოკიდებული ზედიზედ 11 დღე ლიდერობდა. გოტიმ XIV სამთო ეტაპი სოლო-გაჭრით მოიგო, XIX-ზე კი სხვაობა გაზარდა. იმ დღემ ისე დალალა მოასპარეზეთა ლიანგი, რომ შემდეგივე — პარასკევის XX ეტაპის (ბრუნიკო — პასო-დელ-ტონალე; 176 კმ) წინ ერთბაშად 21 მრბოლმა მიატოვა შეჯიბრი.**

გოტის ბოლო ეტაპის შემდეგ ასე ჩააცვეს ლიდერის, აწ კი უკვე ჩემპიონის ვარდისფერი კვართი

როიტერი მილანიდან

**ეს ეტაპიც დოლომიტების მთიანეთში გადიოდა. წინადღით დაცემულ ტონკოვს იდაყვი და მუხლი ტკიოდა, მაგრამ მაინც სამჯერ ცადა გაქცევა. გოტი მთავარ მეტოქეს მაგრად დაუხვდა, სამჯერვე აედევნა და არაფერი დაუთმო. ფინიშს ორივემ ერთად უწია. მათ შორის სხვაობაც იგივე დარჩა.**

**გაიმარჯვა 30 წლის „ჩეპემ" — კოლუმბიელმა ხოსე-ხაიმე გონსალეს-პიკომ (კელმე), ვინაც ამით ტურის ბოლომდე ფაქტობრივად დაიბევა „მთის მეუფის" სარგო მწვანე კვართი. ჩეპემა და კიდევ რამდენიმე მაჩანჩალამ მე-10 კილომეტრის მიდამოში წამოიწყეს იერიში და ტურის ლიდერებს 10 წუთზე მეტით აჯობეს. გონსალესმა ბოლო ალმართზე დაჯაბნა და საბოლოოდ 1.43-ით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული მასიმო პოდენცანა (იტალია, მერკატონე-უნო).**

შაბათის ბოლოსწინა, XXI ეტაპი (ვალ-დი-სოლე — ედოლო; 238 კმ) მთელს ტურზე უგრძესი იყო. ტონკოვს გოტის ჯობნის ბოლო შანსი მიეცა და ფინიშზე ერთი კინკილა წამი კიდეც მოუგო, პრემიით სხვაობა კიდევ 4 წამით შეუმცირა, მაგრამ არც იტალიელი გამოდგა ჯაბანი: პასო-დელ-მორტიროლოში მიმავალ 13-კილომეტრიან ალმართზე ტონკოვს მხარდამხარ შეება და არაფერი დაუთმო. ამის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ წლევანდელ ჯიროში გოტი გაიმარჯვებდა, რადგან მრავალდღიან ტურებში ბოლო ეტაპი ალლუმი და გასეირნება უფროა, ვიდრე შეჯიბრი.

შაბათის ეტაპი იმითაც იყო ღირსშესანიშნავი, რომ თავი გაიგიჟა 1990 წლის ჩემპიონმა, იტალიელმა ჯანი ბუნიომ (მაპეი). ეს კაცი თითქმის სამ საათს აგებდა ლიდერებთან, მაგრამ ისე გახელდა, რომ 160 კილომეტრი მარტომ ილიდერა, ვიდრე ზემოთხსენებულ ალმართზე გოტიმ, ტონკოვმა და იტალიელმა ვლადიმირ ბელიმ არ ალაგმეს. მერე იყო არაქაცგამცლელი ფინიში, რომელსაც ტონკოვმა სტარტიდან 7 საათის, 13 წუთისა და 36 წამის შემდეგ უწია.

კვირის — ბოლო, XXII ეტაპი (ბორმიო-ტერმე — მილანი; 165 კმ) საფინიშო სპურტით მოიგო „სუპერ-მარიომ" — მარიო ჩიპოლინიმ (იტალია, საეკო), ვინაც ამით პირადი რეკორდი დაამყარა — ერთი ჯიროს განმავლობაში ხუთჯერ გაიმარჯვა. მეორე ადგილზე შვედი გლენ მაგნუსონი (ამორე-ე-ვიტა) დარჩა.

**ასე დასრულდა მე-80 ჯირო, რომელსაც ბობოლებმა — ჟალაბერმა, ცულემ, რიისმა და კომპანიამ ლიანგურად უგანეს, რაკი ივლისის ტურ-დე-ფრანსი უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. 180 მონაწილიდან მილანს მხოლოდ 110-მა უწია. 22 ეტაპიდან 13 მასპინძლებმა მოიგეს.**

მიხო ნინუა

22 ეტაპის (3 918 კმ) ჯამი: 1. ივან გოტი (იტალია, საეკო) 102 საათი: 53 წუთი. 58 წამი; 2. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) ჩამორჩა 1.27-ით; 3. ჯუზეპე გვერინი (იტალია, პოლტი) 7.40; 4. ნიკოლა მიჩელი (იტალია, აკი) 12.20; 5. სერგეი გონჩარი (უკრაინა, აკი) 12.44; 6. ვლადიმირ ბელი (იტალია, ბრეშიალატი) 12.48; 7. ჯუზეპე დი-გრანდე (იტალია, მაპეი) 12.54; 8. მარკოს სერანო-როდრიგესი (ესპანეთი, კელმე) 16.07; 9. სტეფანო გარცელი (იტალია, მერკატონე-უნო) 18.08; 10. ხოსე-ლუის რუბიერა-ვიხილი (ესპანეთი, კელმე) 18.56

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

EUROSPORT

დღეს, სამშაბათს, 10 ივნისს

11.30 ავტოჟურნალი „ჩაქქი სამყარო"; 13.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები"; 14.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (მ); 17.00 მოტოციკლი: სუპერ-ბაიკი. ჰოკენჰაიმიდან (გერმანია); 18.00 (პ) ჩოგბურთი: ქვინზ-კლაბის ტურნირი. ლონდონიდან; 21.00 ჩოგბურთი: გარი ვებერის ღია პირველობა. ჰალედან (გერმანია); 22.30 (პ) მძლეოსნობა: იააფ-ის დიდი პრიზი. ბრატისლავიდან (სლოვაკეთი); 24.30 კრივი. ქვემძიმე წონა. ფლუტე — ოტკე; 1.30 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები; 2.30 ჩოგბურთი: ქვინზ-კლაბი (რ); 3.00 ცხენოსნობა: ერთა თასი. პოზნანიდან (პოლონეთი); 4.00 აფროსნობის ჟურნალი (4.30-მდე)

ხვალ, ოთხშაბათს, 11 ივნისს

11.30 მძლეოსნობა: ბრატისლავა; 13.00 ავტორბოლა: კარტ. პი-პი-ჯის მსოფლიო სერიალი. დეტროიტიდან; 15.00 მოტოკროსის ჟურნალი „ქიქ"; 15.30 მოტოციკლის ჟურნალი „თვლები"; 16.00 ფეხბურთი: ლეგენდები; 17.00 ზეკაცთა სამჭიდი (ტრიათლონი): ევროპის თასი. საფრანგეთიდან და ბელგიიდან; 18.00 (პ) ჩოგბურთი: ქვინზ-კლაბი; 23.00 ტანთ ქანდაკება (ბოდიბილდინგი): ევროპის პირველობა. მინსკიდან; 24.00 ბუნიკობანა (დარტსი): მსოფლიო პირველობა. ლონდონიდან; 1.00 ჩოგბურთი: გარი ვებერი; 2.30 ჩოგბურთი: ქვინზ-კლაბი (რ); 3.00 გოლფი: ქალთა ევროპული ტური. ვაილედან (დანია); 4.00 ველორბოლა: საფრანგეთის ტურის გზამკვლევი (4.30-მდე)

(მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე 2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90

# რაგბი

## საქართველოს პირველობა

# დიდი მონაპოვარი

7 ივნისი. ვაკე. სინის XIII გათამაშება

### ყოჩები 31:12 გუმარი

მსაჯი (დრო) პაატა ნარიმანაშვილი (43' + 43')

გუმარი (მფლობელი): აბაშიძე; ურჯუკაშვილი (მოდებაძე 44), კიზირია, მაისურაძე, ბუგიანიშვილი; მაჩიტიძე, ჯანელიძე — ჩიქავა (ნაცვლიშვილი 48-55), თოფურიძე (ნაცვლიშვილი 60), მიკოლაენკო; სორდია (ჯანხოთელი 59), პარნიკანაშვილი; ზვ. პინაიშვილი, ობოლაძე, დიდებულიძე. — პს (18, 20, 30) და ა (5): მაჩიტიძე

ყოჩები (მოცილე): ენუქიძე; ლიპარტელიანი, მხეიძე, ბარძიმიშვილი, ხეხელაშვილი; ტეფნაძე, ჭეიშვილი — ფირიაშვილი, ჭავჭავაძე (კიკუაშვილი 80), ახვლედიანი (ესაკია 76); ხურცილავა (გუშარაშვილი 44), სულთანიშვილი (ლეჟავა 44); კობახიძე, ცხვედიანი (ჭელიძე 44), ურუშაძე. — 2ლ: კობახიძე (57), ენუქიძე (84); 4ს (3, 15, 25, 28, 37, 80) და ა (52): ტეფნაძე

დიდი საშინაო რაგბი ფეხბურთის ეროვნული გუნდის მატჩს კი დაემთხვა, მაგრამ 300 გულშემატკივარი მაინც მიიზიდა. ეს ქართული რაგბის დიდი მონაპოვარია, რაკილა გამოჩნდა საზოგადოების ფენა, რომელსაც ოვალურ ბურთა თამაში ურჩევნია რაგინდარა საცდურს.



„ყოჩებს" სინი შარშან ორჯერ ეპყროთ, ამჯერად კი უჩვეულოდ იოლად მოიგეს. პირველ ტაიმში თანაბარ მეტოქეთა ბრძოლა იყო. მავანმა სათადარიგო „ყოჩმა" შესვენებაზე უთხრა თანაგუნდელებს, „სვარკის" ყურება ჯობს თქვენი თამაშის ცქერასო.

დიახ, ქართული რაგბის ლიდერთა მატჩი ზე-12-ის რაგბზე მეტად ფირა-სას გავდა, რაც თავისთავად ურიგო როდია. წელს ჩვენმა „ბორჯღალოსნებმა" ხომ დაამტკიცეს, რომ ფირა-ს სამოს ნებისმიერი წევრის ძლევა ხელეწიფებათ.

„გუმარი" დასუსტებულა. შესვენებამდე მხოლოდ ბებრები — მაჩიტიძე, ობოლაძე და დიდებულიძე გამოირჩეოდნენ. მეორე ნახევრის დასაწყისში თავი გაუტყდა გამოცდილ ჩიქავას და შარშანდელ ჩემპიონთა შერკინებაც მთლად დადედლა. „ყოჩები" „გუმარს" ბურთს მისსავე შეგორებაზეც კი უგებდა.

დამრტყმელებმა გადასარევად ურტყეს. პირველი „ჰაია" საათის თავზევა ალინუსხა. „წისქვილიჩ" ტეფნაძეს ისე მოწყინდა გოლების შორიდან შეგდება, რომ იოლი გარდასახვა გააფუჭა. მანამდე მისი და „ჩიჩმია" მაჩიტიძის ათივე დარტყმა სასწაულად ზუსტი იყო — 38, 40, 34, 40, 45, 42, 38, 22, 27 და 15 მეტრიდან. ორი გოლი ეშხიანი არეკნით გავიდა.

„ყოჩები" ანგარიშიანად თამაშობდნენ. წინ შერკინებით მიიწევდნენ. 38 წლის „ცუნცულა" ჭეიშვილი გუნდს ბრძნულად მწყემსავდა, ტეფნაძე კი ბურთს ხან ზარბაზანივით აგრუხუნებდა, ხანაც ტანკივით მიარღვევდა მეტოქის დაცვას. 47-ე წუთზე მაჩიტიძე გაექცა „ყოჩებს" და კინაღამ ლელოც გაუტანა, მერე კი შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონებმა იძალეს და ბოლო ნახევარი საათის მანძილზე „გუმარის" ნახევრიდან თავისაზე თითქმის არ დაბრუნებულან.

„ყოჩებმა" მეტოქე შერკინებაში გატეხეს. სხვაობა 11 ქულამდე გაიზარდა. ჭეიშვილი და ტეფნაძე საჯარიმოების კარში დარტყმას ალარც კადრულობდნენ: ბურთს ან ათამაშებდნენ, ანაც კიდეზე აგდებდნენ. „გუმარი" ისე აიბნა, რომ ერთი პირობა თავის ლელოსთან შვიდკაცაც (?!) კი გამართა.

ბააა3, ბუუუ3! ვიდრე მულამი დაეკარგებოდა, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ბომბარდირმა ბესო ტეფნაძემ ზედიზედ ექვსი გოლი შეაგდო

მატჩი გადასარევი ლელოთი დაგვირგვინდა. „ცუნცულამ" და „წისქვილიჩმა" თითო უგრძესი პასი გააკეთეს და „სალამურ" ენუქიძე „გუმარის" ლელოში განდაგან შეაფრინეს.

ლუკა ჯორჯიაშვილი

5. 06. ქუთაისი. აია 31 (17) (4ლ, 4გ, ს) — გელათი 6 (3) (2ს)

6. 06. ავლაბარი. ასკ 0 — აზოტი (რუსთავი) 42 (6ლ, 6გ). „რემბომ" ანუ ზურაბ რეხვიაშვილმა ერთბაშად ოთხი ლელო გაიტანა!

| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 4 | 4 | 0 | 0 | 153: 46 | 18- 4 | 8 |
| აზოტი (რუსთ) | 5 | 4 | 0 | 1 | 127: 35 | 18- 2 | 8 |
| ქორები | 4 | 3 | 0 | 1 | 74: 37 | 10- 2 | 6 |
| აია (ქუთ) | 4 | 2 | 0 | 2 | 81: 42 | 9- 1 | 4 |
| გუმარი | 4 | 1 | 0 | 3 | 63: 95 | 7-10 | 2 |
| ასკ | 5 | 1 | 0 | 4 | 59:192 | 7-31 | 2 |
| გელათი (ქუთ) | 4 | 0 | 0 | 4 | 24:135 | 2-21 | 0 |

## ოთხი კი არა, ექვსიო!

წლევანდელი ჩემპიონატი უმაგალითოა იმით, რომ თუმც უკვე მიმდინარეობს, გათამაშების სისტემა დანამდვილებით ჯერაც უცნობია. როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, გუნდებს I წრის შემდეგ, 20 ივნისისთვის შეკრებენ. მაშინღა გამოცხადდება, რომ II ეტაპზე 4 კი არა, 6 მოწინავე გუნდი გავიდეს. მიზეზს დაკვირვებული მკითხველი ცხრილიდან იოლად ამოიცნობს.

„ბ" ჯგუფი. 7. 06: ქორები II არ გამოუცხადდა შევარდენს. დინამო — უნივერსიტეტ-ლელო გადაიდო 14 ივნისისთვის

შევარდენი 8 ქულა (4 თამაშიდან); უნივერსიტეტ-ლელო და დინამო 4 (3); თბილისი 1 (4); ქორები II -2 (4)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი ზურაბ მექველია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, ვახტანგ ბზიკაძე, ზაალ გიგინეიშვილი, მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება: ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება: ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი: ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29